ლამპარი

თფილისი
ხუთშაბათი, 15 (29) ივნისი.
1906
წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

პარტიულ კითხვების გამო (მეთაური).—ამხ. გომართელის სიტყვა სათათბიროში—გომართელს წინადადება შეუტანია, შეეკითხოთ მინისტრებს „კურიერ"-ის დახურვის და მის რედაქტორის დატუსაღების გამო.—კაზაკების შესახებ კამათი.—როგორ დახვდენ ჩვენს დეპუტატებს პეტერბურგის მუშები.—ტრამვაის მუშებმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს.

№ 42 ყოველ-დღიური გაზეთი. № 42

„ლამპარის" რედაქციაში იყიდება ძველი გაზეთების ქაღალდი. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ რედაქციის კანტორაში.
(10—2)

ამ ორი თვის წინეთ დაიკარგა თფილისის ტრამვაის კონდუქტორი

კონსტ. იმნაიშვილი

ნიშნები: მაღალი ტანის, შავი თმა, წვერს იპარსავს, ჭკუაზე შეშლილია. გთხოვთ ვინც იცით ან შეხვდეთ გააგებინოთ ლანჩხუთში ონოფრე იმნაიშვილს. (4—2)

დღევანდელი მომენტი და სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა.

II

როგორც წინა წერილში დავინახეთ, ც. კომიტ. რეზოლიუცია სრულიად ეთანხმება სიეზდის დადგენილებას და ამხ. „ბალშევიკებს" არავითარი საბუთი არ აქვთ წინააღმდეგი ამტკიცონ.

მაშ რაში არ ეთანხმებიან ისინი სიეზდის დადგენილებას და კერძოთ ცენტრ. კომიტ. პოლიტიკურ კამპანიას?

ცენტრ. კომიტეტი წინადადებას აძლევს ორგანიზაციებს, რომ სახალხო კრებებზე წამოყენებულ იქმნას მოთხოვნილება: დუმის უმრავლესობისაგან შესდგეს სამინისტრო. ეს მოთხოვნილება იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ძალა უნდა გადავიდეს კადეტების ხელში. „ბალშევიკები" ამას რეაქციონურ მოთხოვნილებას ეძახიან. რატომ?

ისინი ასე მსჯელობენ: კადეტები—ეს ხალხსა და მთავრობის შუაზე მდგომი პარტიაა, ისინი ცდილობენ მთავრობას მოურიგდენ, ცოტა დათმობით დაკმაყოფილდენ და ამნაირათ დღეს თუ არსებულ მთავრობას ოპოზიციაში უდგანან, ხვალ მთავრობის პარტიათ გადიქცენ. ამიტომ მოთხოვნა, რომ დუმის უმრავლესობისაგან შესდგეს სამინისტრო საშუალებას აძლევს კადეტებს ძალა ჩაიგდონ ხელში, ბიუროკრატიას მოურიგდენ და შემდეგ მასთან ერთათ ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრონ. ჩვენ კი ასეთი მოქმედებით ხალხში გავავრცელებთ კონსტიტუციურ ილიუზიებს, იმას ავუძრავთ უსაფუძვლო იმედებს, თითქო ხალხის ხელში უფლების გადასვლა შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით. მაშასადამე ამნაირი ტაქტიკა „ბალშევიკების" შეხედულებით ერთი მხრით ძალას აძლევს ხელში მთავრობის მონათესავე კადეტებს და მეორე მხრით ადუნებს ხალხის რევოლიუციონურ ენერგიას. ეს თუ ასეა ცხადია, რომ ეს მოთხოვნილება რეაქციონური მოთხოვნილებაა და სოციალდემოკრატიამ მას მხარი არასოდეს არ უნდა დაუჭიროს.

რამდენათ მართალია ასეთი მოსაზრება?

დუმის სამინისტროს მოთხოვნით ჩვენ ხელს შევუწყობთ მთავრობისა და კადეტების მორიგებას, და ხალხში კონსტიტუციურ ილიუზიებს გავავრცელებთო.

ჩვენ გვგონია, რომ ორივე ეს მოსაზრება ყალბი არის და გამომდინარეობს „ბოლშევიკების" რევოლიუციაზე ყალბი შეხედულებიდან.

ამათ შეხედულებით რუსეთის რევოლიუციის ერთად ერთი გზა აქვს—შეიარაღებული აჯანყება, დროებით რევოლიუციონური მთავრობის დაარსება, რომელიც მოიწვევს დამფუძნებელ კრებას, და მერე დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება. აი ის გზა, რომელიც უსათუოთ უნდა გაიაროს რუსეთის რევოლიუციამ. ამიტომ პარტიის მოვალეობა არის მიუთითოს ხალხს ამაზე და მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმაროს ამ შეიარაღებულ აჯანყების მომზადებას. მეტი გზა აღარ დარჩენილა—ხალხს ბრძოლის სხვა საშუალება აღარ აქვს; მოძრაობა უკვე მივიდა შეიარაღებულ აჯანყებამდის, და ჩვენც მთელი ჩვენი ძალა უნდა იმას მოვახმაროთ, რომ დავაარსოთ მებრძოლი დრუჟინები, მოვიპოვოთ იარაღები და სხ. ერთი სიტყვით რევოლიუციის ტეხნიკურათ მოწყობა, მოხერხებულ დროს შეიარაღებულ აჯანყების მოხდენა და მთავრობის ხელში ჩაგდება, ე. ი., ეგრეთ წოდებული „პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურის" განხორციელება. ამ აზრს ეტრფიან თავიდან „ბალშევიკები". ეს შეხედულება ნათლათ გამოსთქვეს მათ მესამე სიეზდის დროებით რევოლიუციონურ მთავრობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში. „რევოლიუცია ეს მოხერხებული (удачный) „ბუნტი" არის",—ამბობს ვოინოვი ამავე სიეზდზე წაკითხულ თავის მოხსენებაში. თუ ჩვენ ამ თვალით შევხედავთ რევოლიუციას მაშინ სისულელეთ და კადეტობათ მოგვეჩვენება ისეთი საქმეები, როგორიც არის არჩევნებში მონაწილეობის მიღება, დუმის გარშემო ფართო პოლიტიკური აგიტაციის გაწევა და, მაშასადამე, მისი შემწეობით რევოლიუციონური მასსის მობილიზაცია და სხვ. ყველაფერი ეს კადეტური ჩმახვაა, რადგან ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ შეიარაღებული აჯანყება და მთავრობის ხელში ჩაგდება მიანიჭებს რევოლიუციონურ ხალხს გამარჯვებას, ხოლო რაც ამის გარეშეა—ის ეშმაკისაგანაა".

„ან რევოლიუცია, ან კონსტიტუცია"—აი ის მეტაფიზიკური ფორმულა, რომელსაც ასე ერთგულათ იმეორებენ „ბალშევიკები". თუ რევოლიუცია არ დასრულებულა, სწერდა ლენინი („პარტ. იზვ."), თუ ჩვენში 47 წელია და არა 48 წ. მაშინ დუმაში არ უნდა წავიდეთ, მაშინ ხალხს უნდა ვუთხრათ, რომ ემზადოს შეიარაღებულ აჯანყებისათვის" და სხ. როგორც ხედავთ აქ კონსტიტუცია დაპირდაპირებულია რევოლიუციასთან. თუ კონსტიტუციაა—რევოლიუცია აღარ არის, თუ რევოლიუციაა—კონსტიტუციას რა ადგილი აქვს. ასე მსჯელობდენ ამხ. „ბალშევიკები" და ეგონათ, რომ დუმა რევოლიუციას წინ გადაეღობებოდა, შეაჩერებდა, მარა დღეს ბრმაც კი ხედავს, რომ ამნაირი მსჯელობა საფუძველს მოკლებული იყო. დღეს „ბალშევიკები" აღარ ამბობენ ან, უკეთ რომ ვთქვათ, ვეღარ ამბობენ, დუმა რევოლიუციას გააჩერებსო, ხალხში კონსტიტუციურ ილიუზიებს განამტკიცებსო და სხვ. დიახ, დღეს ამას ვეღარ იმეორებენ „ბალშევიკები", მარა არ გეგონოს, მკითხველო, რომ მათი შეხედულება რევოლიუციაზე გამოიცვალა! სრულიადაც არა! ამავე დუხჭირმა აზრმა ეხლა სხვა მხრით ამოხეთქა. თუ აქამდე დუმა შეაჩერებდა რევოლიუციას და ხალხს გზა-კვალს აუბნევდა, თურმე ეგევე მოხდება, თუ ჩვენ ხალხს ვუთხარით, მთავრობის წინააღმდეგ მთელ დუმას მხარი დაუჭირეთ, დუმის უმრავლესობისაგან შემდგარი სამინისტროს დაყენება მოითხოვეო და სხვა. თურმე ეხლა ეს შეაჩერებს რევოლიუციას.

რასაკვირველია თუ „მენშევიკები" თავისი ტაქტიკით მუშათა კლასს გზა-კვალს უბნევენ, რევოლიუციას აჩერებენ—„ბალშევიკებს" სრული უფლება აქვთ დისციპლინა დაარღვიონ, სიეზდის გადაწყვეტილება უკუაგდონ და ამ „ოპორტიუნისტთა სამინისტროს"—ცენტ. კომ. ომი გამოუცხადონ.

მარა ჩვენდა საბედნიეროთ საქმე ასე არ არის!

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ბალშევიკების" ნაჩვენები გზა ერთად ერთი გზა არ არის: რევოლიუციას კიდევ მეორე გზა აქვს. და ჩვენ გვგონია, რომ ისეთი რევოლიუცია, როგორიც არის რუსეთის რევოლიუცია, პირველი გზით არ იწარმოებს.

რევოლიუციურ დროს შესაძლებელია, რომ გაბატონებული კლასი და მისი დამცველი მთავრობა დაუთმობს ხალხს და მოიწვევს რაიმე წარმომადგენლობითს დაწესებულებას, რომელსაც შეუძლია და იძულებულიც იქნება თავს იდვას რევოლიუციონური ინიციატივა—გამოგლიჯოს ძველ მთავრობას ხელიდან უფლება და მოიწვიოს დამფუძნებელი კრება. ეს დაწესებულება მაშინ გადაიქცევა რევოლიუციის ცენტრათ და ხალხის განმათავისუფლებელ ძალებს თავს მოუყრის თავის გარშემო. ხალხი მას გაიხდის რევოლიუციის ღერძათ, რომლის შემწეობით ის გადააბრუნებს ძველ რეჟიმს. ასე იყო, მაგალითად, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს. 1789 წლიდან დაწყებული 1795 წლამდე აქ იყო მთელი რიგი წარმომადგენლობითი დაწესებულებებისა, რომლებიც არა თუ აფერხებდა რევოლიუციის წინსვლას, არამედ ხდებოდა მის ცენტრათ და იარაღათ.

კარლ მარქსი ამბობს, რევოლიუცია ორი ტიპისა შეიძლება: პირველი—ეს 89 წლის რევოლიუცია, მეორე—1848 წლის. 89 წლის რევოლიუცია სულ ზევით და ზევით მიდიოდა, 48 წლ. რევოლიუცია კი სულ სხვანაირათ მიდიოდა. აი რასა სწერს მარქსი თავის მე-„18 ბრიუმერაში":

„საფრანგეთის პირველ რევოლიუციის დროს კონსტიტუციონალისტების (მსხვილი ბურჟუაზიის პარტია) ბატონობას მოყვა ჟირონდისტების (საშუალო ბურ. პარტია) ბატონობა, ხოლო ეს შეიცვალა იაკობინელების (წვრილი ბურ. პარტია) ბატონობით. თვითეული ამ პარტიათაგანი თავის ძალას ამყარებდა უფრო მომწიფებულ პარტიაზე. როცა რომელიმე პარტია იმდენათ წინ წასწევდა რევოლიუციას, რომ აღარ შეეძლო მას ფეხდა ფეხ მიყოლოდა და მით უფრო მეთაურობა გაეწია მისთვის, მაშინ ამ პარტიას გზიდან აყენებდა აქამდე მის უკან მოჩანჩალე უფრო ენერგიული მოკავშირე (союзная) პარტია, და გილიოტინაზე გზავნიდა მას. ამნაირათ რევოლიუცია მიექანებოდა წინ და სულ ზევით და ზევით იწეოდა.

სულ სხვას ვხედავთ ჩვენ 48 წ. რევოლიუციის დროს. პროლეტარიატის პარტია აქ გამოდის მეშჩანურ-დემოკრატიულ პარტიის კუდათ, ეს უკანასკნელი კი ღალატობდა რევოლიუციას. მან სამჯერ მიატოვა ბრძოლის ველი 16 აპრილს, 15 მაისს და ივნისის დღეებში, მარა დემოკრატიული პარტია თავისი მხრით ეყრდნობოდა ბურჟუა-რესპუბლიკანელების ძალას. ბურჟუა რესპუბლიკანელები არ იყვენ დარწმუნებულნი რომ მაგარ ნიადაგზე იდგენ, ამიტომ დატოვეს თავისი არასასურველი ამხანაგები და დაეყრდნენ წესიერების პარტიას. დაბოლოს წესიერების პარტიაც ტოვებს ბურჟუა-რესპუბლიკანელებს და შეიარაღებულ ძალას ეყრდნობა. წესიერების პარტიას ეგონა, რომ ეს სამხედრო ძალა მხარს დაუჭერს მას, სანამ ერთ მშვენიერ დილას არ შენიშნა, რომ მხედრობამ თავისი შტიკები მის წინააღმდეგ მიმართა. ამ ნაირათ აქ რევოლიუცია სულ ქვევით და ქვევით მიდიოდა. და ეს უკან სვლა დაეტყო მას ჯერ კიდევ, სანამ უკანასკნელი თებერვლის ბარიკადა მოიხსნებოდა და პირველი რევოლიუციონურ დაწესებულება მოევლინებოდა ქვეყანას.

რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ჩვენ ამ ისტორიული ფაქტიდან?

ამაზე შემდეგ წერილში.

ნ. ხ.

დუმა და ხალხი

მთელი რუსეთი აბობოქრდა: გადაავლეთ თვალი რუსულ გაზეთებს და აშკარათ დაინახავთ, თუ რა ამბები ხდება დღეს მთელ რუსეთში. მთელი ხალხი აღელვებულია: ყოველ დღე რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მრავალ რიცხოვანი მიტინგები იმართება; ამ მიტინგებზე თავს იყრიან უმეტეს ნაწილათ მუშები: არჩევენ სადღეისო კითხვებს, რეზოლიუციებით, რომელიც გამოაქვთ იწვევენ ხალხს ბრძოლისთვის მზადებას შეუდგენ უკანასკნელ იერიშის მისატანათ. რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში დაიწყო გაფიცვები; გაფიცვებს უმეტესათ ეკონომიური ხასიათი აქვს; მაგრამ მათი გახშირება და სიძლიერე იმის თავდებია, რომ დეკემბერში დამარცხებულმა პროლეტარიატმა კვლავ მოიკრიბა ძალ-ღონე, რომ ის უფრო საშიშ და სერიოზულ ბრძოლისათვის ემზადება. გაზეთებს დღითი-დღე მრავალი ცნობები მოაქვს გლეხების მოძრაობის შესახებ. რუსეთის გლეხობა თანდათან ჩაება პოლიტიკურ ცხოვრების ფერხულში, ის გაფაციცებით ადევნებს თვალყურს რუსეთის თანამედროვე ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენას—დუმის მოქმედებას, ის მსჯელობს იმ კითხვების შესახებ, რომლებსაც დუმა იხილავს, ის უგზავნის დუმას სოფლების მთელი მცხოვრებლების ყრილობების მიერ ხელმოწერილ დეპეშებს, რომლებიც დუმას გარკვეულ და კატეგორიულ მოთხოვნებს უყენებენ. გლეხებში დუმის გავლენის ქვეშ ქრება კონსტიტუციური ილლიუზიები, ისინი რწმუნდებიან, რომ ძირითად რეფორმების მოპოვება მხოლოდ რევოლიუციონური გზით შეიძლება. თუ წარსულ განმათავისუფლებელ მოძრაობის ნაკლს გლეხების გულგრილობა შეადგენდა, მომავალი რევოლიუციურ ქარიშხალის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება ამ ბრძოლაში მრავალ რიცხოვან გლეხების მონაწილეობა იქნება. მაგრამ გლეხობასთან ერთათ უკმაყოფილება და რევოლიუციური სული ჯარსაც ედება. რუსეთის ჯარის უმრავლესობა გლეხებიდან შესდგება, გლეხების პირ-ვარამი ჯარის კაცების პირ-ვარამია, გლეხების მოთხოვნები გლეხ-ჯარის კაცების მოთხოვნებია და გლეხების გარევოლიუციონერება—მათი გარევოლიუციონერებაა. ამიტომ გლეხთა მოძრაობასთან ერთად იზრდება მოძრაობა ჯარში: რამდენიმე ქალაქში მოხდა აშკარა ამბოხება, რომელიც ეკონომიურ ნიადაგზე იწყებოდა და ზოგიერთ შემთხვევებში პოლიტიკური მიტინგით და დუმისათვის თანაგრძნობის გამოცხადებით თავდებოდა. რევოლიუციის მხარეზე გადმოდის ძველი წესწყობილების უკანასკნელი იმედი, თითქმის ერთად ერთი მისი ძალა. ერთის სიტყვით ჩვენ ეხლა პოლიტიკურ მდგომარეობის საზოგადოებრივ ძალების დამოკიდებულების შესამჩნევათ შეცვლას განვიცდით. ცხადია, რომ ამ შეცვლაში, ამ ძალთა დამოკიდებულების გარდაქმნის პროცესში დუმა ძლიერ თვალსაჩინო როლს თამაშობს.

დუმის ისტორია, მისი წარმოშობა და მნიშვნელობა მჭიდროთ არის შეკავშირებული რუსეთის რევოლიუციის სვლასთან, ხოლო ეს უკანასკნელი რუსეთის პროლეტარიატთან. პროლეტარიატის შეუპოვარი და მედგარ ბრძოლას ოქტომბერში, 17 ოქტომბრის მანიფესტი—ეს რეაქციის ხელიდან გამოგლეჯილი გამარჯვება—მოყვა. მაგრამ გასული წლის შემოდგომაზე მებრძოლ რევოლიუციონურ ჯარს ხალხის უმეტესობა, დღეს-დღეობით თავისი მდგომარეობის წყალობით რევოლიუციური გლეხობა აკლდა: ეს იყო დეკემბრის დამარცხების უმთავრესი მიზეზი. 15 დღის შეუპოვარმა ბრძოლამ მოსკოვის ბარიკადებზე აუწყა მთელ ქვეყანას, რომ პროლეტარიატმა უკან დახევაც ღირსეული იცის. ხიშტი და „ნაგაიკის" ბატონობა მძიმე ლოდივით დააწვა გულზე რუსეთს. რეაქციამ გაიმარჯვა. მაგრამ თვით „სატრაპებისათვის" ცხადი იყო, რომ 1906 წლის რუსეთსა და 1904 წლის რუსეთს შორის განუვალი უფსკრული არსებობდა, რომ უკონსტიტუციოთ რუსეთში ვერავითარი მთავრობა ვერ გამაგრდებოდა. თვითმპყრობელ მთავრობამაც მოილო მოწყალება და უბოძა ხალხს „პარლამენტი"—სახელმწიფო დუმა; როგორ დასახიჩრებულ საფუძველზე იყო მოწვეული დუმა და რა მცირე უფლება დაუნიშნა მას მთავრობამ ეს ხომ ყველამ იცის. მთავრობის განზრახვა აშკარა იყო: მას ეგონა დასახიჩრებულ არჩევნების ნიადაგზე არჩეული დუმა ხულიგანური იქნებოდა და მთავრობისავე იარაღი გახდებოდა. მაგრამ ისტორია თვითმპყრობელ მთავრობის მარშრუტით ხომ არ ხელმძღვანელობს; მას საზოგადოებრივ ძალთა განწონილება უკაფავს გზას.

გასულ ზამთრის რეაქციამ ვერ მოსპო რევოლიუცია. თუ პროლეტარიატმა დეკემბერში უკან დაიხია, ეს მხოლოდ იმიტომ, ახალი ძალღონე შეეძინა, რომ უფრო შეუპოვარ და საშინელ ბრძოლისათვის მომზადებულიყო. გლეხობა ხომ ჯერ არც იყო ჩაბმული პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში, მაგრამ ყველა საფუძვლიანათ უცდიდა მის ახლო მომავალში რევოლიუციონურ გზაზე დადგომას; ზამთრის რეაქციამ ბურჟუაზიული ელემენტებიც საბოლოოთ აამხედრა მთავრობის წინააღმდეგ. ერთის სიტყვით, რევოლიუცია არ მომკვდარიყო, ის მხოლოდ ერთი წუთით შეაჩერა ძველმა რეჟიმმა, მაგრამ მისი ძალები ამოხეთქას ლამობდენ, მისი ენერგია ფართო გასავალს ეძებდა. აი ასეთი გასავალის როლი ხვდა სახელმწიფო დუმას. დასახიჩრებულმა არჩევნების წესმა ვერ უშველა მთავრობას, რევოლიუციამ ამ ზღუდეშიც ჰპოვა გზა და თვით დუმაშიაც შეიჭრა: დუმა ოპოზიციონური გამოდგა. ამ ოპოზიციას უკან რევოლიუციური ხალხი უდგას.

ახალი ამბები

✦ დღეს კავკასიის სამხედრო სასამართლო არჩევს საქმეს 27 ქვეითა ჯარის კაცის მინგრელსკი პოლკისას, რომელთაც ბრალდებათ სამხედრო დისციპლინის დარღვევა. სამღვდელოების კრება იმ ეჭვით შეპყრობილი, რომ ვაი თუ მათ სიკვდილით დასჯა მიუსაჯონ, ემუდარება პირველ პარლამენტს რომ თუ ეს ხმა გამართლდა, საჩქარო ზომები მიიღოს და სიკვდილით დასჯა შეცვალოს, რადგან 24 საათის განმავლობაში მოჰყავთ ხოლმე ეს განაჩენი სისრულეში. „საქართველოს საეპარქიო სამღვდელოების კრება მიესალმა-რა განმათავისუფლებელ მოღვაწეობას რუსეთის პირველ პარლამენტისას და უსურვებს რა დუმას შეუშინებლათ საქმის განგრძობას თვითმპყრობელ ბიუროკრატიის კლანჭებიდან რუსეთის განსათავისუფლებლათ, ღრმათ დარწმუნებულია რომ სათათბიროს თავგანწირული ბრძოლით გამოცხადდება სრული ამნისტია და სიკვდილით დასჯის გაუქმება, რომელსაც ვერ შერიგებია ნამდვილი ქრისტიანის ჭკუა-გონება; აგრეთვე რომ დროის მოთხოვნილების თანხმათ გადასწყდება საკითხები მშრომელ ხალხისათვის: აგრარული და მუშათა საკითხები, ბარბაროსულათ აწიოკებულ-აკლებულ საქართველოს სამღვდელოება გულის ფანცქალით ადევნებს თვალ-ყურს გაბედულ მოქმედებას პარლამენტისას, იმედოვნებს, რომ რუსეთის ყველა მოქალაქის ცხოვრებაში ფაქტიურათ განხორციელდება ყოველ გვარი თავისუფლება და მათ შორის თავისუფლება სინიდისისა, რომელთანაც მტკიცე კავშირი აქვს საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენას და ეკლესიის სახელმწიფოს აპეკისაგან სრულიად განთავისუფლებას. სამღვდელოება სათათბიროს ყურადღებას აქცევს იმ გარემოებასაც, რომ სამღვდელო პირნი გამოუძიებლათ და საქმის გაურჩევლათ იგზავნებიან ჩრდილოეთ გუბერნიებში, და ამ დღეებშიაც გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმ. ნიკოლოზი გაიგზავნა ხარკოვის გუბერნიაში გამოუძიებლად. აკურთხოს ღმერთმა შემოქმედებითი ბრძოლა სათათბიროსი ხალხის თავისუფლების მტრებთან.

✦ გუშინ, ნაშუადღევის 1 საათზე, თფილისის **ელექტრონის ტრამვაის გაფიცული მოსამსახურენი ხელახლა შეუდგენ მუშაობას.** მოსამსახურეთა მოთხოვნილების უმეტესობა დაკმაყოფილებულ იქმნა. დაწესდა ყველასათვის 8 საათის სამუშაო დღე ტრამვაის ყველა დარგში მოსამსახურეთათვის, დაინიშნა მუშაობის დამფასებელი კომისია მოსამსახურეთა მხრივ, უკანვე მიღებულ იქმნას ყველა დათხოვნილი მოსამსახურენი, დატოვებულ იქმნას სამსახურში ამათ ადგილზე მიღებული 60 კაცი და სხვ. დირექცია დღემდე ყოყმანობდა მხოლოდ 9 კაცის მიღებაზე, ესენი არიან: ობერ-კონტროლიორები—აილაროვი და გიგაურია, „მოძრაობის" სადგურის უფროსის თანაშემწე ტერ-მატეუზოვი, კონდუქტორები—ნუცუბიძე და ჰოლლიძე, ვატმანი ხავთასი და ცენტრალურ სადგურის მოსამსახურენი—

ანანიევი, სლანინსკი და თევდორაშვილი. დირექცია ამათ მიღებაზედაც დათანხმდა, მხოლოდ ამათ თანამდებობები შეუცვალა, ობერ-კონტროლიორის თანამდებობა, მაგ., სრულიად გაუქმებულ იქმნა და სხვ. ამათში გიგიბერიას, სლანინსკის, ანანიევს და თევდორაშვილს დირექცია ახლავე ღებულობს, ხოლო სხვებზე პასუხს გენერალ-გუბერნატორისაგან ელიან. სხვა მოთხოვნილებები სავსებით დაკმაყოფილებულია. თუ გენერალ-გუბერნატორისაგან ამ მოკლე ხანში პასუხი არ მიიღეს, მოსამსახურენი ხელახლა აღკვეთენ მუშაობას.

◆ გაზეთი „კურიერი" გადმოგვცემს— თუ როგორ დახვედრიან პეტერბურგში ნიკოლაევის სადგურზე ჩვენს დეპუტატებს. დილა ადრიან 7 ივნისს ნიკოლაევის სადგურზე შეიკრიბა ოცი კაცი მუშა, რომელნიც განგებ მისთვის იყვენ ამორჩეულნი რომ კავკასიის პროლეტარიატის წარმომადგენელთ დახვედროდენ, მუშათა დელეგატები გარს შემოეხვიენ მოსულ დეპუტატებს და პეტერბურგის პროლეტარიატის სახელით მიესალმენ მათ და გამოთქვეს იმედი, რომ კავკასიის დეპუტატების ჩამოსვლა თავდებია იმისი, რომ მუშათა კლასის წარმომადგენლობა დუმაში პარტიულ ხასიათს მიიღებსო. ილაპარაკეს „ფრანკო-რუსთა", ნობელისა და ლესნერის ქარხნების წარმომადგენლებმა, „Знаніе—сила"-ს კლუბისა და მუშათა ცალკე კავშირების წარმომადგენლებმა. პეტერბურგის დელეგატებს უპასუხეს დეპუტატებმა ნ. ჟორდანიამ და ის. რამიშვილმა. ამათ თავიანთ სიტყვაში ის აზრი გაატარეს—რომ სოც.-დემოკრატიის დეპუტატები მარტონი ვერას გახდებიან—თვით პროლეტარიატმა უნდა იბრძოლოს და მხარი მისცეს მათო. დეპუტატებს ალტაცებით და ტაშის კვრით მიეგებენ. იქავ მახლობლათ მდგარ ჟანდარმმა მოსთხოვა ხალხს დაშლილიყო, თქვენ „ხელს უშლით დეპუტატებს საქმე გააკეთონო". ამას შემდეგ დეპუტატები ამხ. მიხაილიჩენკოს ბინაზე წავიდენ, იქავ გამოცხადდა ბალტიის ქარხნის დეპუტაცია 10 კაცისაგან შემდგარი, რომელიც მუშების სახელით მიესალმა დეპუტატებს და სურვილი განაცხადა—ამათ დუმაში გამოცხადებისათანავე ცალკე ფრაქცია დააარსონ.

◆ ამ ჟამათ თფილისში მრავლათ დადიან და სამუშაოს ეძებენ **ახალი ნასალდათრები**, რომელთაგან ბევრი რუსეთიდანაა ჩამოსული. სამუშაოს შოვნა მათთვის თითქმის შეუძლებელი გამხდარა და უსაქმოთ დარჩენილ მუშათა რიცხვი ამის გამო კიდევ უფრო იზრდება. ნასალდათარებს არა ერთხელ მიუმართავთ გუბერნატორისათვის დახმარების სათხოვნათ, მაგრამ არავინ მათ თხოვნას ყურათ არ იღებს. ნასალდათარები ძალიან გაბრაზებული არიან და კვირობენ—სანამ მთავრობას ვესაჭიროებით, როგორც უნდათ, ისე ხმარობენ ჩვენს ძალას, ახლა კი, როცა 4—6 წლის ძაღლური სამსახურის შემდეგ, შიმშილით სული გვხდება, ჩვენთვის ყურსაც არავინ აპატურებსო, და მხოლოდ მაშინ გავახსენდებით, როცა კვლავ ჩვენი ძალა დასჭირდებათ „მტრების" მოსაგერებლათო.

◆ გუშინწინ მეტეხის ციხიდან **გაანთავისუფლეს** რკინის გზის მოსამსახურეები: ლ. კლიმიაშვილი, სიმკევიჩი, ლ. შენგელია, ა. ჩუმაკი, ვ. ფანჯაკიძე, იაკ. ჩერნიკოვი, პ. გორგაძე, ბ. ბერიძე, ი. ფირცხალაიშვილი, იოს. პილიაშვილი, იას. ბოსიკაშვილი, ტოლპეევი, პ. ბეზდეტოჩნი და გ. ჩლაიძე. ყველა ესენი განჯაში მსახურებდენ საიდანაც თფილისში გადმოიყვანეს მეტეხის ციხეში.

◆ მეტეხის ციხის ტუსაღებმა ციხის ადმინისტრაციას მოთხოვნები წარუდგინეს, რომელიც შეეხება **ციხეში ტუსაღთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.** მეტეხის ციხესთან არსებულ სტამბის ასოთ-ამწყობები 5 ივნისიდან ხელახლა გაიფიცენ, რადგან მათი მოთხოვნილებები არ დააკმაყოფილეს.

◆ 14 ივნისისთვის კავკასიის **სამხედრო საოლქო სასამართლოში** გასარჩევათ დანიშნული იყო საქმე მე-39 გრენადერთა საარტილერიო პოლკის შტაბს-კაპიტნის სერ. მიტროპულოვისა, რომელსაც ხაზინის ფულების გაძარცვა ბრალდებოდა. ერთის მოწმის გამოუცხადებლობისა გამო საქმე უვადოთ გადაიდო.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა ვორონცოვ-დაშკოვმა წინადადება მისცა ამიერ კავკასიის რკინის გზათა უფროსს თავის სურვილით უკანვე მიიღოს სამსახურში რკინის გზათა გაფიცვებში მონაწილეობის მიღებისათვის დათხოვნილები, ისინიც, ვინც სამართალში არიან მიცემული. ამ განკარგულების თანახმათ **მოსამსახურეებს ისევ უკან იღებენ,** ამას წინათ მიიღეს რკინის გზათა საპენსიო კასის გამგე ბ-ნი სარქისოვი.

◆ გუშინ წინ თფილისიდან **ბათუმში გაგზავნეს** მსროლელთა პოლკის ჯარის კაცთა ორი ბატალიონი და საარტილერიო პოლკის ნაწილი, **საბრძოლველათ გამზადებული.**

◆ თფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორმა ტიმოფეევმა მიიღო რა მხედველობაში მართლაც და აუტანელი პირობები, რომელშიაც იმყოფებიან თფილისის მეფურნეების მოსამსახურენი, თავის მხრივ **სამართლიანათ სცნო** ამ უკანასკნელთა მიერ ღლებისადმი წარდგენილი მოთხოვნილებები ბინის გაუმჯობესებისა, ჯამაგირის მომატებისა, 10 საათის სამუშაო დღის დაწესებისა და სხვათა შესახებ—და თხოვა ქალაქის თავის მოადგილეს დაეხმაროს, რათა მეფურნეების მოსამსახურეთა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქმნას.

◆ თფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით სამხედრო წესების მოხსნამდე **შეჩერებულ იქმნა** ყოველ-დღიური რუსული გაზეთი **Кавказскія вѣсти**".

◆ დღეს, დილის 10 საათზე, თფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია თფილისის **უსაქმოთ დარჩენილ ინტელიგენტთა კრება.**

◆ გუშინ, ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდა თფილისის უსაქმოდ დარჩენილ მუშების კრება მუშათა საბჭოს წევრების ასარჩევათ. ამოირჩიეს: უპროფესიო მუშებმა თავიანთ წარმომადგენლათ 3 კაცი, დურგლებმა—1, ჩილინგდრებმა—2, ხუროებმა—1, მღებავებმა და მექესტეებმა—1, თაიროვისა, მილოვისა და ადელხანოვის ქარხნების დათხოვნილ მუშებმა—1, მებაღეებმა, მზარეულებმა და ლაქიებმა—1 კაცი.

◆ 13 ივნისს გაგრძელდა კრება მოსწავლე ქართველთა დამხმარე საზოგადოებისა. ამ კრებაზე სხვათა შორის ლაპარაკი ქონდათ სათავად-აზნაურო გიმნაზიის ინსპექტორათ ნამყოფ ბ ნ თაყაიშვილზე, რომელსაც ბ-ნი დუმბაძე გიმნაზიის ფულების გაფლანგვას აბრალებდა. ამ საქმის გამოსაძიებლათ დანიშნულმა კომისიამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინა თაყაიშვილის საწინააღმდეგოთ. ბ-ნი დუმბაძე კრებაზე მაინც თავისას ამტკიცებდა. ბ-ნი ჩიტაძე თხოულობდა კრებისაგან, ცილისწამებისათვის ზიზღი გამოეცხადებინათ ბ-ნ დუმბაძისათვის. კრებამ მიიღო კომისიის დადგენილება. ბ-ნ ეპიტოვისა და დუმბაძის შორის კრებაზე უსიამოვნო ლაპარაკი ჩამოვარდა. ბ-ნ ზურაბოვის წინადადებით დაადგინეს სასამართლოს გადაეცეს ამათი საქმე, რომლის შემდეგ მტყუანი მხარე უნდა გამოირიცხოს საზოგადოების წევრობიდან. ამის შემდეგ გადავიდენ საზოგადოების შემოსავალ-გასავლის განხილვაზე.

◆ გუშინ, დილის 7 საათზე, მახეილის ქუჩაზე, სარქისიანის სათების მაღაზიაში შევარდა 4 შეიარაღებული უცნობი. ამათ მუქარით ფულები მოსთხოვეს მაღაზიის პატრონს. სარქისიანმა ერთი ბოროტ-განმზრახველთაგანი შეიპყრო. ამ დროს მეორემ რევოლვერი ესროლა, მაგრამ არავინ არ დაჭრილა. სროლის ხმაზე ხალხი დაფრთხა. პოლიციამ ორი კაცი დაიჭირა. ესენი აღმოჩნდენ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი ფილიმონ მაღარაძე და ნიკოლოზ სხირტლაძე. სხვა ბოროტ-გამზრახველების აღმოსაჩენათ ზომებია მიღებული.

◆ დღეიდან ქ. თფილისის უსაქმოთ დარჩენილების რეგისტრაცია მოხდება არა უბნებათ, როგორც დღემდე გამოცხადებული იყო, არამედ მარტო ალექსანდრეს ბაღში, პუშკინის სამკითხველოს შენობაში.

პროვინცია.

შემოქმედი. 4 ივნისს კვლავ გაგვიხსენა ცნობილმა „პროპაგანდისტმა" ნიკო თაყაიშვილმა. ის გვეწვია ხალხის „პრიგოვორების" ამბის გასაგებათ. ამ პრიგოვორების ძალით რამოდენიმე კაცი გადაასახლეს საზოგადოებიდან. ლაპარაკის კილოზე ნიკოს ცოტა სირბილე ეტყობოდა, მაგრამ მარცხი მაინც დასდევს მის კეთილშობილებას. მაუხედავათ იმისა რომ ერიდობას ხალხი ბლომათ დაესწრო, ნიკომ მაინც გააგზავნა სოფელში რამოდენიმე სტრაჟნიკი „ხალხის მოსათრევათ". ისინიც ჩვეულებისამებრ შეიჭრენ სოფელში. ამ დროს ეკლესიის გალავანში ორ მიცვალებულს ასაფლავებდენ. ბაშიბუზუკები დაერივნენ ხალხს და ლანძღვა-გინებით გაალალეს. ასეთია ჩვენი მდგომარეობა: მშვიდობიანათ ვეღარც მიცვალებული დაგვისაფლავებია სხვა და სხვა ნიკოკიების მეოხებით.

დამსწრე

—

ჩოჩხათი. „უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებენო". ასე გვემართება ჩვენც. ვინც „ქინას" სახელი კი იცის ყველა ფერშლობას ჩემობს და სოფელს მკურნალათ ევლინება. ასეთ „მკურნალების" უმეტესათ მაურუბულ სოფლებში შეხვდებით. ისინი ყველა ავათმყოფობას ქინით შველიან და გასაკვირიც არ არის თუ ხშირათ შველის მაგიერათ „დათვურ სამსახურს" უწევენ ხოლმე. თუნდა ავიღოთ ჩვენი ცნობილი „ფერშალი" ზევარ ორაგველიძე. მიდიხართ მასთან და ეუბნებით კუჭი მტკივაო. ის მაშინვე დაგიწერს ქაღალდზე: მიეცეს ამას კუჭის ტკივილის წამალიო და გაგისტუმრებს აფთიაქისკენ, ხოლო მცირედის წარწერაში ათი შაური უნდა მისთავაზოთ; რაიცა შეეხება ახალ ფერშალს დიომიდე თენიეშვილს, ის ჯარში ნამსახურია და „მედიცინა" მამაოჩვენოსავით იცის. მართალია გასინჯვაში ათ შაურს იღებს, მაგრამ სამაგიეროთ აფთიაქში აღარ გისტუმრებს, ვინაიდან საკუთარი აფთიაქი აქვს სახლში და შაურიან წამალს აბაზათ მოგიდულებს.

ამ ბოლო ხანებში ბ-ნმა „ფერშალმა" აკუშერკობასაც მოკიდა ხელი, ხოლო ქირურგიაში [illegible] სახელი დაიმსახურა. ერთი ქალი ხიდან ჩამოვარდა და ხელი მოიტეხა. ქალი ფერშალთან მიიყვანეს, რომელმაც აღუთქვა განკურნება, ხელი შეუხვია და უბრძანა 20 დღე არ გაეხსნა. ოცი დღის შემდეგ ხელი გამხმარი აღმოჩნდა და ექიმმა მოჭრა ურჩია. ამ საქმის თაობაზე საჩივარიც აღძრა და სამართალმა ქალის პატრონი გაამტყუნა. ხალხმა განსაკუთრებული განაჩენი გამოიტანა და ურჩია ფერშალს ან სულ დაეხსნას „ექიმობას", ან ყველაფერს ნუ ეკიტინება.

ქრისტეფორე

—

ქიზიყი. ბოდბისხევის საზოგადოებამ 4 თიბათვის ერილობაზე დაადგინა: აიწეროს ყოველგვარი მათი გასაჭირი და გადაეცეს ხალხის მიერ არჩეულ დუმის წევრებს: ჟორდანიას, წერეთელს, რამიშვილს და სხვ. სახელმძღვანელოთ. დაადგინეს აგრეთვე: ზიზღი გამოეცხადოს მოლარე იოსებ იმედაშვილს, რომელმაც პირადი ანგარიშებით ხალხის საქმეს უღალატა. აგრეთვე ზიზღს ვუცხადებთ დიმიტრი სოლოლაშვილს, რომელმაც იმედაშვილის რჩევით ხალხს უღალატა.

ვრემენაშვილი.

—

ჩოხატაური. 4 ივნისს ვიღაც ბოროტ-გამძრახველებმა დასწვეს ალ. კალანდაძის და ამხ. პარკის საწყობი. ხსენებულ ვაჭრებს გადაწყვეტილი ქონდათ ფუთი პარკის 14 მანეთათ ყიდვა. ხალხი ძლიერ შეაწუხა ამ ამბავმა და ენერგიულათ შეუდგა დამნაშავეთა აღმოჩენას. პარკის ყიდვა მაინც სწარმოებს და პირობაა დადებული: თუ სხვაგან მოიმატა ფასმა, აქაც მეტი მისცენ.

ჩიტი.

პარტიის ცხოვრებიდან.

—

„ვპერიოდის" მე-10 ნომერში დაბეჭდილია ერთი მუშათა კრებაზე გამოტანილი რეზოლიუცია:

„ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ 1) ეხლანდელ მომენტში დუმის უმრავლესობისაგან შემდგარი პასუხისმგებელი სამინისტროს მოთხოვნა არის შემცდარი და ორაზროვანი მოთხოვნა, ვინაიდან ა) ასეთი სამინისტროს დანიშვნა ვერ იქნებოდა ნამდვილი საშუალება თვითმპყრობელობისაგან სახალხო წარმომადგენლობაზე გადასასვლელი; ბ) ნამდვილათ კი ეს იქნებოდა შე-

ფელეტონი

—:—

ფინლიანდიის სოციალდემოკრატიული პარტია

(„Безъ заглавія"-დან).

ხელახლად პოლიტიკურ გაფიცვის აუცილებლობა ფინლიანდიაში აღიძრა მაშინვე ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ. თუმცა ბურჟუაზია დაჰპირდა სეიმის რეფორმებით სისრულეში მოვიყვან პროლეტარიატის დემოკრატიულ მოთხოვნებსო, შემოვიღებ არჩევნების ახალ კანონსო, მაგრამ სოციალდემოკრატები საფუძვლიანათ ეჭვის თვალით უყურებდენ ამ პირობებს, არ სჯეროდათ, რომ სისრულეში მოიყვანენ იმ დაპირებას, რომელსაც ბურჟუაზია იძლეოდა პროლეტარიატის დიქტატურის დროს, თუ რომ მუშა ხალხი ხელახლად არ დაატანდა ძალას. ამ მოსაზრებით უკანასკნელ თვეებში ენერგიულად შეუდგენ მუშების მომზადებას ახალი იერიშისათვის. მუშებმა გადასწყვიტეს, თუ რომ მდგომარეობა ხელს შეგვიწყობს, გამოვაცხადოთ საერთო გაფიცვაო. ამ უკანასკნელს შესაძლოა დიდი შედეგი მოჰყოლოდა. ამიტომაც საყურადღებოა გავიცნოთ ფინლიანდიის სოციალდემოკრატიულ პარტიის ძალა, რომლის გამოჩენაც შეუძლიან მას მომავალ ბრძოლაში.

ადგილობრივი ს.-დ. პარტია წარმოსდგა მუშათა პროფესიონალურ კავშირებიდან. ეს მუშათა კავშირები მე-80 და მე-90 წლებში დაარსდენ ბურჟუაზიის მატერიალურ და აქტიურ დახმარებით, მაგრამ მე-90 წლების მეორე ნახევარში დაიწყო სოციალისტური აგიტაცია ფინლიანდიის მუშათა შორის; მალე მუშათა კავშირებშიც შეიპარა და ამ უკანასკნელთ თანდათან იწყეს გადასვლა სოციალდემოკრატიულ დროშის ქვეშ. ეს მოძრაობა იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ მუშათა კავშირების წარმომადგენლების მესამე კრებაზე 1899 წ. 20 ივლისს, ქ. აბოში დაადგინეს დაარსონ მუშათა პარტია, და 1901 წ. ვიბორგში კავშირების წარმომადგენლების პირველ კრებაზედვე დაამტკიცეს მისი წესდება და პროგრამა, რომელიც ძალიან წააგავს სხვა ქვეყნების სოციალდემოკრატიულ პარტიების წესდებას და პროგრამას.

პარტიას ძლიერ დიდი ბრძოლა დასჭირდა ბურჟუაზიასთან, რომელმაც მტრულათ შეხედა მას და არავითარ ბრძოლის იარაღს არ დაერიდა. დაბრკოლება კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ ინტელიგენცია გულცივათ უყურებდა მუშათა მოძრაობას.

მმართველ ბურჟუაზიისაგან დამოკიდებულმა ინტელიგენციამ, ეტყობა, ამჯობინა დამშვიდებული კულტურული მუშაობა გაღვიძებულ საზოგადოებაში, ახალგაზდათა შორის. სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების მოწყობა რამოდენიმეთ თავგანწირვას თხოულობდა. კერძოთ ფინლანდიელ სტუდენტობას არც სწამდა მუშათა მოძრაობის დიდი მნიშვნელობა,—რასაც ცხადათ ამტკიცებს ის ფაქტი, რომ მხოლოდ შარშან დაარსდა იქ სტუდენტთა სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია. განათლებულ საზოგადოებიდან მუშათა მოძრაობის განვითარებას სერიოზული დახმარება გაუწია ერთმა ექიმმა ურსინმა, რომლის საკუთარი და ნათარგმნი შრომაც საძირკვლათ დაედო მუშათა საკითხის ლიტერატურას ფინურ ენაზე. ამგვარათ, თვით მუშა ხალხს მოუხდა თავის საკუთარ ძალღონით ყოველივე სიძნელის დაძლევა და საკუთრივ თავის წრიდან უნდა გამოეყვანა საჭირო მოღვაწენი. არ ვიცი რა დიდი გავლენა იქონია ამ გარემოებამ მუშებში მოძრაობის განვითარებაზე—მაგრამ მუშათა კლასის ურთიერთობას ფინლიანდიის დანარჩენ საზოგადოებასთან და თვით პარტიის ხასიათს ამ გარემოებამ აშკარა ბეჭედი დაასვა. ფინლიანდიის სოც.-დემ. მუშათა პარტიის განვითარებას ამტკიცებს შემდეგი ცხრილი წევრთა რიცხვისა და პარტიულ უმთავრეს ორგანო „Tyomies"-ს გავრცელება.

პარტიაში შედიოდა:

1900 წ.	29	კავშირი	7,054	წევრით
1901 „	30	„	7,100	„
1902 „	41	„	8,151	„
1903 „	65	„	13,513	„
1904 „	99	„	16,610	„
1906 წ. 1 მარტს*)	253	კავშ.	48,405	წევ.

უმთავრესი ორგანო „Toymies" დაიბეჭდა:

1899 წ.	4,200-დან		4,500	ცალი
1900 „	5,500	„	5,700	„
1901 „	5,000	„	5,700	„
1902 „	7,000	„	7,200	„
1903 „	7,200	„	10,000	„
1904 „	10,000	„	11,000	„
1905 „	9,700	„	18,700	„

ხელის მომწერთა რიცხვი საერთო გაფიცვის შემდეგ მეტათ გაიზარდა. ამ ჟამათ ეს გაზეთი იბეჭდება 20,000 ეგზემპლიარზე მეტი და ყველაზე მეტათაა გავრცელებული ფინლიანდიაში. ამ უმთავრეს ორგანოს გარდა პარტიას აქვს კიდევ 2 ყოველ დღიური გაზეთი, 7 გაზეთი, რომლებიც კვირაში ზოგი ერთხელ და ზოგიც სამჯერ გამოდის, 1 ყოველ კვირეული საოჯახო ჟურნალი, 2 მეცნიერული ჟურნალი, 1 ისტორიული და 1 ყოველ თვიური მუშა ქალთა ორგანო. ახლო მომავალში გამოვა კიდევ 4 გაზეთი. მეტადრე უკანასკნელ დროს, სახელდობრ ოქტომბრის გაფიცვის შემდეგ, ემჩნევა ორგანიზაციებისა და ორგანოების რიცხვის ზრდა. ეს მოვლენა არა მარტო გაძლიერებული აგიტაციით აიხსნება, (რომელსაც ამ უკანასკნელ დროს უფრო ინტენსიურათ ეწევა პარტია), არამედ იმ ავტორიტეტითაც, რომელიც მოიხვეჭა პარტიამ მცოდნე ხელმძღვანელობით ზემოთ მოყვანილ გაფიცვის დროს. ამ პარტიის ძალ-ღონის დემონსტრაციამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

ფინლიანდიის ს. დ. პარტია თავის ორგანიზაციულ მუშაობაში ცოტათი ბაძავს თავის ამხანაგ სკანდინაველებს, სახელდობრ იმით, რომ ცდილობს პარტიას საძირკვლათ პროფესიონალური ორგანიზაციები გაუხადოს, თანაც ცდილობს რაც შეიძლება წვრილათ დაანაწილოს პროფესიონალური კავშირები. ფინლიანდელი სოც.-დემოკრატების ამგვარი მოღვაწეობა უკანასკნელ წლებში თანდათან განვითარდა. პირველ ხანებში პროფესიონალურ კავშირებს აწყობდენ ცალკე განყოფილებებათ,*) რომლებშიაც იღებდენ მონაწილეობას ყველა პროფესიის მუშები, მაგრამ შემდეგ თანდათან გაჩნდენ განკერძოებული პროფესიონალური ორგანიზაციები, რომელთაც მუშათა კავშირების განყოფილებებთან ერთად მოაწყეს ადგილობრივი კარტელები*). ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციების უახლოესი საკითხია—გაერთიანება თვითეულ დარგის წარმოებისა მთელ მხარეში. ამ გაერთიანებისკენ გადასდგეს კიდევაც პირველი ნაბიჯი: მოაწყეს 4 საერთო კავშირი, რომელთა შორის ყველაზე ძველია ასოთ-ამწყობთა კავშირი.

პროფესიონალურ მოძრაობამ, სოციალდემოკრატების ხელმძღვანელობით უკვე დიდი სარგებლობა მოუტანა მშრომელ ხალხს: თვითეულ პროფესიის მუშების გაფიცვით, რომელთა უმეტესი ნაწილი გამარჯვებით დაგვირგვინდა, მუშებმა მიაღწიეს მუშათა მდგომარეობის ბევრნაირ გაუმჯობესებას. პროფესიონალურ ორგანიზაციების თანდათან გავრცელება წარმოადგენს პარტიისთვის დედაბოძს პოლიტიკურ ბრძოლაში. საერთოდ სამრეწველო და სახელოსნო მუშათა შორის სოც.-დემ. მოძღვრება შეიძლება ჩაითვალოს დამკვიდრებულათ. მუშათა მოძრაობა ამ ნაწილებში ჩადგა თავის ნამდვილ კალაპოტში.

რაც შეეხება სოფლის პროლეტარიატს, მათ შორის მხოლოდ ეხლა იწყება სოციალდემოკრატების მოღვაწეობა და ჯერ კიდევ სერიოზული ბრძოლა მოელით ბურჟუაზიულ პარტიებთან; ამ უკანასკნელთ იმედი აქვთ კომპრომისების წყალობით თავის მხარეზე იყოლიონ გლეხ-კაცობა და წვრილი მოიჯარადრენი.

ამ სოფლად მოღვაწეობის შესახებ წინდაწინ რისიმე თქმა არ შეიძლება, რადგან თვით ს. დ. პარტიამ ამ უახლოეს მომავალში პროგრამა მთლიანად უნდა გადაშინჯოს. ამ ჟამად ს. დ. პარტიის ბრძოლის პლატფორმას წარმოადგენს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება და ერთ პალატიანი სახალხო წარმომადგენლობა. სოციალდემოკრატების გაძლიერებულმა აგიტაციამ მუშათა შორის მუშათა მასსა მოამზადა შეგნებულ და გადამწყვეტ ბრძოლისთვის, ზემოდ აღნიშნულ მათთვის უსაჭიროეს რეფორმების მოსაპოებლად. 1905 წ. სეიმის სხდომის დროს გამართულმა დიდებულმა დემონსტრაციამ, სადაც მონაწილეობას იღებდა 50.000 კაცამდის, ცხადათ დაგვანახვა მუშათა სულის კვეთება. მაგრამ მმართველმა კლასმა ვერ გამოიჩინა საკმაო პოლიტიკური ალღო და ტაქტი. თუმცა ამ 20 წ. განმავლობაში არა ერთხელ აღიძრა კითხვა ძველ რეფორმის, და სრულიათ უვარგის სეიმის ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ ამ საკითხს სისტემატიურათ აფუჩეჩებდენ, ყველაზე უფრო დიდი შეცდომა იყო ის, რომ 1905 წ. სეიმმა უარი განაცხადა მუშათა მოთხოვნების გადასინჯვაზე: ამ უარით სეიმმა სავსებით დაუკარგა მუშა ხალხს ნდობა მართველი კლასებისადმი და მით მოუმზადა ნიადაგი იმ გამწვავებულ ურთიერთობას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, რომელიც ასე ახასიათებს ეხლანდელ მომენტს. ოქტომბრის მთელი რუსეთის გაფიცვას მხარი დაუჭირა ფინლიანდიის პროლეტარიატმაც, მაგრამ ამასთან თავის საკუთარი ადგილობრივი მოთხოვნილებაც წარმოადგინა: დამფუძნებელი კრების მოწვევა სეიმის ახალ წესზე მოწყობის შესამუშავებლათ. ამასთან ერთათ ითხოვეს ფინლიანდიაში წინანდელი კონსტიტუციონური წესწყობილების აღდგენა, ადმინისტრაციის გადაყენება და სხ... უკანასკნელმა მოთხოვნამ ბურჟუაზიაც მიიმხრო, მაგრამ ხელმძღვანელი როლი კი მაინც სოციალდემოკრატიას ეჭირა. გაფიცვის დროს მოხდა შეთანხმება ეხლა მმართველ კონსტიტუციონალისტებსა და სოციალდემოკრატებს შორის: პირველი დაჰპირდა მუშათა მოთხოვნის დაკმაყოფილებას სეიმის რეფორმების შესახებ. მუშებს კი უარი უნდა ეთქვათ დამფუძნებელ კრების მოწვევაზე. 22 ოქტომბრის მანიფესტმა სისრულეში მოიყვანა ეს მორიგება. გამარჯვების ნაყოფის უმეტესი ნაწილი კონსტიტუციონალისტების პარტიამ ირგუნა—ძალა გადავიდა მის ხელში. რაკი საშიშმა წამმა გაიარა, ბურ-

---

*) ეს ცნობები ვერაა სრული. «Tyomies»-ის ცნობებით პარტიის კომიტეტში შევიდა 359 ორგანიზაციის დაარსების განცხადებები 60,000 წევრით.

*) პროფესიონალური განყოფილებები 1902 წ. მუშათა კავშირებს შორის იყო 150, 1903 წ.—184, 1904 წ.—222.

*) ხანდახან ადგილობრივ კარტელებში შედიან მუშათა კავშირებიც.

ომება ლიბერალური ბურჟუაზიის და ჰყრობელობის ხალხის შემწეობით მის ს უკან; დ) პროლეტარიატს არა აქვს თარი გარანტია იფიქროს, რომ ეს შება დღევანდელ პოლიტიკურ ძალთა ბილების დროს მისცემს მას სერიო- საშუალებას მისი კლასიური ბრძოლის ვით. ყოველ შემთხვევაში ისეთ სენულს მაინც არა, რომლითაც უნდა მართლებია არსებითი ზარალი, რომელიც მოუტანს პროლეტარიატის კლა- თვითშეგნებას ბურჟუაზიის შეთანხმე- (СДѢЛКА) აქტიური მხარის დაჭერა რელუციონური მოძრაობის ზრდის დროს. 3) ამ მოსაზრებათა ძალით მოთხოვნილე- პასუხისმგებელ სამინისტროს შედგენი- ხალხს შეუწყობს კონსტიტუციური ილუ- ს გამაგრებას და ხალხის რევოლიუციო- რ შეგნებას გარყვნის, რადგან დაბადებს ში იმედებს, რომ ვითომ შესაძლებელი ს მშვიდობიანი გზით ხალხის მიერ უფ- ბის მოპოვება და დააბნელებს განმათა- უფლებელ ბრძოლის მიზანს, ვიღებთ მხედველობაში ყველა ამას, კრება ადგენს:

1) პროლეტარიატს ამ ხანად არ შეუძლია მხარი დაუჭიროს დუმისაგან სამინისტროს შედგენის მოთხოვნილებას.

2) პროლეტარიატი მხარს უჭერს დუმის რევოლიუციონურ ელემენტებისაგან შემდგარ აღმასრულებელ კომიტეტის იდეას იმ აზრით, რომ მან შეაერთოს ხალხის თავი- უფალი ორგანიზაციების მოქმედება".

ეს რეზოლიუცია აშკარათ ყოფს, თუ რო- რ გაიგეს ამხანაგ „ბალშევიკებმა" შემ- ოებული სიეზდის დადგენილებანი. თუ მდე პეტერბურგის კომიტეტი, რომელიც ეს „ბალშევიკების" ხელშია, თავის რე- ოლიუციას ათანხმებდა, ვითომ სიეზდის ზოლიუციასთან, ამიერიდან ყველას ეცო- ება, რომ ამ ამხანაგების შეხედულება ლ სხვა იყო, ვიდრე სიეზდის. ამას ნათ- ლ ამტკიცებს სხვათა შორის ეს რეზო- იუციაც. რომ ეს ამხ. „ბალშევიკების" მნილებაა" და ძალიანაც თანაუგრძნობენ , იქიდან სჩანს, რომ „ვპერიოდ"-ის რე- ქცია ცალკე შენიშვნას უკეთებს და სი- ულით ეგებება ამნაირ აზრს.

ეს რეზოლიუცია ცხადათ გვიჩვენებს თუ განსხვავებაა ჩვენს და ამხ. „ბალშევი- ების" ტაქტიკურ შეხედულებათა შორის და ამიტომ ამაზე ცალკე წერილში გავაცნობთ მკითხველს ჩვენს აზრს.

ამავე გაზეთის მე-11 ნომერში მოყვანი- ა ბუნდის ორგანოდან („Volkszeitung" № 78) წერილი, რომელშიაც გატარებულია ბუნდის შეხედულება დღევანდელ მომენტზე. აი რას ვკითხულობთ ჩვენ სხვათა შორის ამ წერილში: „როგორი კატეგორიულადაც არ უნდა გამართლებულიყო სოციალ-დემოკრატიის მიერ ლიბერალური კადეტების დახასიათება, რომლებმაც ეხლავე გვერდი აუქციეს ბევრ იმ დაპირებათ, რომელსაც ისინი იძლეოდენ არჩევნების დროს,— სახელმწიფო სათათბირო მაინც დიდ ადგილს იჭერს დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში. სახელმწიფო დუმის მნიშვნელობა გამოიხატება იმ ფაქტში, რომ ხალხის ფართო მასსამ დუმაში ოპოზიციონურ დეპუტატების არჩევით გამოსთქვა თავისი უკმაყოფილება, რომ ხალხმა მიაპყრო დუმას თავისი ყურადღება იმ იმედით, რომ ის რუსეთს სულ ახალ ნიადაგზე მოაწყობს. ეს დუმის წინაშე წაყენებულ აუარებელ მოთხოვნილებისა და მის ფაქტიურ უძლურებას შორის წინააღმდეგობა—შესაძლებლათ ხდის კონფლიქტს დუმასა ან და მის ერთ ნაწილის და მთავრობას შორის—ერთი მხრით, და დუმაში არსებულ სხვა და სხვა პარტიებსა და ჯგუფებს შორის კონფლიქტის აუცილებლობას—მეორე მხრით". და ქვევით.

„ის გარემოება, რომ პროლეტარიატი ბოიკოტს უცხადებდა დუმას, რომ მან არ მიიღო ამ პარლამენტარულ კომედიაში მონაწილეობა—ხელს არ უნდა უშლიდეს მას იმაში, რომ მოიხმაროს მემარცხენე რევოლიუციონური დუმის ჯგუფები, აიძულოს რევოლიუციონური ნაბიჯი გადადგან, გახადოს ისინი რევოლიუციის იარაღათ"... და სხვა.

გასაკვირველია აქ ის, რომ ბუნდი ამის შემდეგ კიდევ აცხადებს, ბოიკოტის ტაქტიკა მართალი იყოვო. თუ დუმას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, თუ ის ხალხს აღვიძებს და გამოყავს პოლიტიკურ ასპარეზზე, თუ კონფლიქტი დუმასა და მთავრობას შორის ერთი მხრით და დუმაში არსებულ სხვა და სხვა პარტიებს შორის მეორე მხრით აუცილებელია—თუ ერთი სიტყვით დუმა დღეს პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზათ გამხდარა,—ნუ თუ ჩვენ სოციალდემოკრატია, როგორც პარტია, არ უნდა ვიყოთ აქ და ხელს არ უნდა ვუწყობდეთ ხალხის შეგნებას? ბუნდს უნდა მხარი დაუჭიროს და გაარევოლიუციონეროს დუმის მემარცხენე ჯგუფები—ე. ი. ისინი აიძულოს წამოაყენებიოს და დაიცვიოს იქ ხალხის მოთხოვნილებანი. თუ ეს ასეა კითხვა იბადება: რატომ ჩვენ არ უნდა მივიღო მონაწილეობა არჩევნებში? არა, რაც უნდა ილაპარაკოთ დღეს ბოიკოტის დაცვა შეუძლებელია. ცხოვრებამ ნათლათ დაამტკიცა ეს და ზოგიერთი ჩვენი „გაკადეტებული" ამხანაგები ტყუილა უბრალოთ იწუხებენ თავს!

რა ჩვენი ბრალია?

რა ხდება ფოთის ფედერალისტთა ბანაკში?

(ბ-ნ ნიკოლაძის საყურადღებოთ).

„ნუ თუ სოციალდემოკრატია ლანძღვა-გინების პარტიაა, ნუ თუ მათი იდეალი მოწინააღმდეგეთა პიროვნების დამცირებაა, მასი ფეხ-ქვეშ გათელვა და მეტი არაფერი?"—გაიძახიან ბურჟუაზიული ორგანოები, მაგრამ რა ვქნათ, ბურჟუაზიას სჯობია მიაწეროს ის, რაც ჩვენს წმინდა მოვალეობას შეადგენს.

თუ რომელიმე პირი სათავეში უდგას ამა თუ იმ საზოგადოებრივ დაწესებულებას, ან პარტიას და ამ ნაირათ ერთგვარი გავლენა აქვს ხალხზე და მის ბედ-იღბალზე, სოციალდემოკრატი ვალდებულია კრიტიკით ჩაუდგეს ამისთანა პირის მოქმედებას და თუ იგი მავნე გზას ადგას, დაგმოს მასი ცუდი მიმართულება, რომელიც მშრომელი ხალხის და კერძოთ პროლეტარიატის ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული.

ვხელმძღვანელობთ რა ამ შეხედულებით, მინდა საზოგადოებას ერთხელ კიდევ ვაჩვენო რამდენიმე მარგალიტები ფოთელ ფედერალისტების ცხოვრებიდან.

რადგანაც მათი უმთავრესი ბანაკი არის ადგილობრივი თვითმართველობა, სადაც ისინი თავისუფლათ ნავარდობენ და რადგანაც აქ ხმა არის გავრცელებული, თითქო მათი „თაღლითობა" არ იცოდეს ქალაქის თავმა ბ-ნმა ნიკოლაძემ, ჩვენც დავიწყებთ აქედან.

ბ-ნი ნიკოლაძე აცხადებს სახალხო კრებაზე: „მე არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი, მე არ შემიძლია ვიწრო პარტიული ინტერესებით დავკმაყოფილდე, მე ამაზე მაღლა ვდგავარ"-ო და სხვ... ჩვენ გვგონია, რომ ნიკოლაძეს ამ ნაირათ უმაღლესი პოლიტიკა ალაპარაკებს,—პოლიტიკა ყველა პარტიების მომადლიერებისა, თორემ ჩვენს დროში საზოგადო მოღვაწის პარტიის გარეთ დგომა ხომ ტყუილი ოცნებაა, ან განზრახ მოგონილი ჭორია.

დავიწყოთ სათათბიროს არჩევნებიდან. რა ხდებოდა მაშინ ფანცხავას კაბინეტში, რა რიგათ ატყუებდენ იქ ჩვენს ამხანაგებს, ამის დამამტკიცებელი საბუთი ჩვენ ბევრი გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით მოვიყვანთ ოთხ სხვა და სხვა შინაარსის ფაქტს:

1) ადგილობრივი მცხოვრები მუშა ვასილ ქადეიშვილი მოუცდელობის გამო (სამუშაოთ იყო წასული სხვაგან) 17 აპრილამდის ვერ გამოცხადდა (21-ს არჩევნები იყო), უპრავაში მოსამსახურემ ს. ხომერიკმა უთხრა: „შენი ხმა არ შეიძლება ისე, თუ პოლიციის მოწმობა არ მოიტანეო (ალბათ პოლიციის იმედი ჰქონდა). დასახელებული მუშა ამ წუთში გაიქცა ბოქაულთან, რომელიც თითონ წავიდა უპრავაში და არამც თუ [illegible] ის პირი, პირიქით გამკაცრდა კიდევაც უპრავას: „რა ფორმალისტობაა(?), რა საჭირო იყო აქ ჩემი მოწმობა, როდესაც ეს კაცი [illegible] და თქვენს სახლში ხომ იცით კარგათო" [1]). მაშინ უპრავიდან გამოუცხადეს მუშას: „გვიანია, არჩევნებამდის სულ 4—5 დღე დარჩა, ვეღარ მოვასწრებთო" (ოდესღაც!!). ამისთანა მაგალითები სხვაც ბევრია.

2) გრიგოლ კაპანაძეს ჩვენი ბილეთები ქონდა ხელში, ეს რომ დაინახეს უპრავაში, „რა ბრძანდები, [illegible] ცებს ასახელებ კანდიდატებათ! ეს რომ პოლიციამ გაიგოს, ხომ დაგიჭერენ!. გამოართვეს ხელიდან ჩვენი ბილეთები დახიეს და მის მაგიერ თავისი მისცეს. ამ გვარი მაგალითები სხვაც არის.

3) ცქვიტიძე ჩაგრავის შეეკითხა რეიკონი: შენ ვინ დაგიწერა ეს ბილეთები? ეს შენ არ გარგებს; თუ გინდა ჩვენთან იმუშავო და ლუკმა პური არ დაკარგო შემდეგნაირათ მოიქეცი: აი ეს ბილეთები (აძლევს თავისას) შეინახე—რადგან გამოგიცვლიან ს.-დემოკრატების ბილეთები ჯიბეში ჩაიდევი და ჩვენი კი ყუთში ჩააგდე; ამით ვერც შეგიტყობენ და შენ თავსაც არგებ.

4) ილია ავალიანი—მუშა, წერა-კითხვა არ იცის—მიდის სამწერლო მაგიდასთან თავის კანდიდატებს, ს.-დ. ასახელებს, ისინი, ს.-ფ.-ბი კი, თავის კანდიდატებს უწერენ. ავალიანი დაბრუნდა სტოლიდან ბილეთებით ხელში; ამ დროს აქ შეხვდა ერთი ქუთაისელი ამხანაგი და უთხრა: ბიჭო არა გრცხვენია შენი პარტია დაგიტოვებია და სხვას აძლევ ხმასო. ამაზე აღელდა საბრალო მუშა, წამსვე დახია ის ბილეთები და ერთი აურზაური გამართა სტოლთან.

5) რომ თავისი ხრიკები კარგათ განეხორციელებიათ, საჭირო იყო ერთი ჩვენი ამხანაგი თავიდან მოეცილებიათ; ამისათვის აი რა ჩაიდინეს.—საარჩევნო საქმის შესადგენათ მოიწვიეს ორი ფედერალისტი (ერთიც შემდეგ მოუმატეს) ჩვენი ამ ხანაგების მრავალი თხოვნები კი ალახმა ყურს სად გაიგონებს.

რა ცვლილება მოხდა თვით უპრავაში ჩვენს წინააღმდეგ, დავინახავთ შემდეგი მაგალითებიდან:

1) თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში დაითხოვეს „პოდაკზნი პუტის" თავერი მუშები რიცხვით 25 კაცი ორი თავმჯდომით (აკაკი თოფურია და ანტონ ჟღენტი [2]) დატოვეს მხოლოდ ერთი თავმჯდომე სტ. მარღანაძე ს.-ფედერალისტი (შეპირდნენ 15 მანეთს ეხლა 25 მანეთს ღებულობს). ამ 25 თავერი მუშებიდან ამოარჩიეს ოთხი უფრო „მშვიდი" და „კეთილსაიმედო" მუშა დაიქირავეს დღიური ქირით (1 მანეთი დღეში). დათხოვის მიზეზათ ის დაასახელეს, რომ ხაზინიდან ფულები არ ქონდათ მიღებული. მუშები ეხვეწებოდნენ, ოღონდ ამ რეაქციის დროს ნუ დაგვითხოვთ და დღიურ საკვებ ფულის მეტს არაფერს მოვითხოვთ, სანამ ხაზინიდან ფულები არ მოვაო. ერთი თვის შემდეგ ხაზინიდან მოვიდა 23000 მანეთი. ძველი მუშები დღესაც [illegible] მაგრამ რაღაც მიზეზების გამო (ალბათ არ ასიამოვნეს მათ!?) ძველს არ ღებულობს და ახლებს კი [3]). ამას გარდა გზის მეკვეთებლათ დაქირავებულია ერთი მოხელე სპირსული, რომელიც შარშან საქონლის გზის გაკეთებაში ღებულობდა თითო მანეთს, ხოლო მიმხმარე მუშებს კი თვითონ უპრავა აძლევდა იმ ოცდა ხუთ კაპეიკს, რომელიც მას თავერათ ჰყავდა დაქირავებული. ეხლა უპრავა აძლევს მას მანეთის ნაცვლათ მანეთსა და ოცდა ხუთ კაპეიკს იმ პირობით, რომ მიმხმარე მუშები თვითონ სპირსულმა დაიქირავოს თავის ანგარიშზე, ვინაიდან ოთხი კაცი გზის გაწმენდასაც ვერ ასწრებენ. მთელი ამ საქმის მართვა-გამგეობა გადაცემული აქვს ქალაქის ტექნიკ შეკელოვსკის და მარღანაძეს. ახლა აი როგორ იქცევიან: სპირსულისათვის უპრავიდან იღებენ 1 მ. 25 კ. მიმხმარე მუშას კი თვითონ უპრავის მიერ დაქირავებული ოთხი კაციდან აძლევენ, ამნაირათ ერთი მხრივ გარეშე მუშას უკარგავენ ლუკმა პურს, და მეორე მხრივ უპრავაც შეცდომაში შეყავთ. უეჭველია აქ ცოტა გროშებიც დარჩება (აბა ისე რა აზრი აქვს ამნაირ მოქმედებას?) მაგრამ ის კი არ ვიცი ვისთ მიდის!

2) ცოტას სხვა დავწერ. თუ სოციალდემოკრატი მოვიდა [illegible] (უპრავის წევრი) რომელიც თავის თავით ან სხვისთვის [illegible] ნებს. [4]) „არ ვიცი, ალბათ, რომელსაც [illegible] მაინც [illegible] ნებს. [5]) სულ სხვა ფედერალისტი მოსამსახურეა; [illegible] კლუბის [illegible] ფედერალისტურ [illegible] [6]) [illegible] „ე. კ. [illegible]" [illegible] „[illegible]" [illegible] რა ვქნათ".

3) როგორც წინათ მოგახსენეთ 25 მუშა დაითხოვეს ფულების გამო. ამას გარდა დაიწყეს ქალაქის საავადმყოფო და ერთად-ერთი სასადილო [illegible] მოურიდებლათ [illegible] ქუჩაზე. ეს არის [illegible] და [illegible] დაწესებულებების გამგეებს [illegible] თავის მოქალაქე ამბობენ, რომ ცოტა ფულები დაიზოგოთ ქალაქის [illegible]. ამავე დროს ამავე მოქალაქე ფულებით აი რას ჩადიან: მისს ნიკოლაძე [illegible] წელი [illegible] სტოლზე. პირველ სამ წელს აძლევდა 40 მანეთს თვეში, მეოთხე წელს კი 50 მანეთს. რა რომ პარტიის გინდა, ისიც [illegible] ფედერალისტი და [illegible], 60 მანეთიანი ადგილი. ამას გარდა [illegible] ადგილზე (40 მანეთიანი ადგილი) დანიშნეს ნიკ ფედერალისტი, მისცეს 60 მანეთი ჯამაგირი (რისთვის ნეტავ?) [illegible] ხაზინადარის (ფედერალისტის) მოუმატეს 15 მანეთი (60—75 მანეთი). ის მანეთის ადგილზე მიიღეს ჩასვა ფედერალისტი მისცეს 30 მანეთი თვეში. უპრავის მდივანი [illegible] (ფედერალისტი ღებულობდა 100 მანეთს) [illegible] [7]). ამავე უპრავაში ჯამაგირი 125 მანეთი. ამავე დროს სხვა არ [illegible] და ჯამაგირი კი ერთი კაპეიკიც არ მოუმატეს [8]), რასაკვირველია ამ მოსაზრებით, რომ ფულები არ გვაქვთ ქალაქის „მამებო"?—ვაი, თქვენს ჭკუისტყუილობას! დაზოგვაც ამისთანა უნდა. ქალაქის ფულებს ნუ გაფლანგავთ, ნურაფერს გააკეთებთ, მუშებს სამუშაოს ნუ მისცემთ თქვენ [illegible] და [illegible] ხალხის ფულებით. საჭირო არის საქმეთ და საარჩევნოთ განა?? თქვენ ხომ თქვენი კლუბი გაქვთ, სადაც ენერგიულათ ვარჯიშობთ სოციალდემოკრატების ლანძღვა-გინებასა და ცილის წამებაში. [illegible] ამ დროის [illegible], სანამ თვით საზოგადოება არ შეიგნებს თქვენს თაღლითობას, მე კიდევ არა ერთ მაგალითს გადმოვცემ მოქალაქეთ თქვენი ცხოვრებიდან. ჩამოთვლილი ფაქტები ნათლათ არკვევს თქვენს ფიზიონომიას. [illegible] სრულ ჭეშმარიტებას [9]), მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მესამედია ამ სამარცხვინო საქმეების, რომელსაც ჩადიხართ თქვენ. იმედია მომავალი უფრო გამოარკვევს თქვენს სახეს. ჯერჯერობით კი მე შემიძლია ნათქვამიდან შემდეგი დასკვნა გამოვიყვანო: ფოთის ეგრეთ წოდებულმა ს.-ფედერალისტებმა პარტიული ნიღაბი გამოიყენეს საზიზღარ იარაღათ სოციალდემოკრატების წინააღმდეგ. ბრძოლის ველათ უმთავრესათ გაიხადეს საქალაქო თვითმართველობა,—ეს საზოგადო დაწესებულება, სადაც ქალაქის ბედ-იღბალი წყდება. როგორც თვით ფაქტებიდან სჩანს პარტიულმა საქმეებმა მათ ბევრი კანონის [illegible] და ზნეობის დამამცირებელი საქციელი ჩაიდინეს, რის გამო ქალაქის საქმეებიც საცოდავს მდგომარეობაში არის მოქცეული. ამას შემდეგ კი ამბობენ ნიკოლაძე არც ერთ პარტიას არ ეკუთვნისო. ეს მან არ იცის, თორემ სულ სხვანაირათ დაინახავდა საქმეს. თუმცა ერთი: ან არ იცის (?) ბ-ნმა ნიკოლაძემ ეს ამბავი და მა-

---

[1]) ქადეიშვილი რამდენიმე წელიწადია ფოთში ცხოვრობს ოჯახიანათ და ყოველივე საქალაქო გადასახადს იხდის.

[2]) ყველა ამათ წერილობითი პირობა ჩამოართვეს, რომ არ [illegible] (უფროს ს. ფედერალისტები ჩანერით იცავენ მუშების ინტერესებს!)

[3]) მაგალითად ახლებიდან მიიღეს: გოგია, გაბაშვილი, [illegible], შავიშვილი, კუცია, მანჯავიძე და სხვა...

[4]) როგორც გაიგეთ ბ-ნ ყორღანაშვილს ეს მოვალეობა ვერ უსრულებია, ალბათ არ უნდა არც ერთი პარტიის მომხრეობა, მაგრამ ის კი გვეკითხება თუ მოქალაქე, როგორ ურიგდება ამნაირ უსამართლობას?!

[5]) ბოლქვაძე, რომელიც ეხლახან გამოვიდა [illegible].

[6]) ამ [illegible] თავმჯდომარეობას [illegible] არ აქვს გზაში თუ ხალხში [illegible] ს. დემოკრატების აგენტებს და ლანძღავს „სოც. დემოკრ. ქურდები და ავაზაკებიო" [illegible] დაიყვირა [illegible] ამას წინათ; მაგრამ ამის პასუხს ჩვენ მას თვით დროზე მივცემთ. მის აგიტაციას ნიადაგი უფრო ახალ არისტოკრატებში აქვს.

[7]) [illegible] ამბობენ თითქოს ნიკოლაძე წინააღმდეგი [illegible] მისი ამ ადგილზე დანიშვნის, მაგრამ [illegible]: ჯერ ახალი გამოიცვლება და [illegible] ეს მოსაზრება საზოგადოდ [illegible] მართალიც იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში კი გაუგებარი. თუმცა [illegible] არ [illegible] მარტო ფედერალისტური [illegible].

[8]) ალბათ სოციალ-დემოკრატია შეჰფერის.

[9]) ყველა აქ ჩამოთვლილ ფაქტებს თითონ ის კაცები დაამოწმებენ, ვისაც აქ არის მოხსენებული, თუ საჭირო იქნება სხვაც ბევრია.

ზიულ წრეებში გაისმა ხმა ორ პალა- ან პარლამენტის საჭიროების შესახებ და , თან იმუქრებოდენ, მთელ ფაბრიკებს ქარხნებს დავხურავთ და მთლათ მუ- ბს გამოვრეკავთ გარეთო. სოციალდე- კრატიის პარტიამ დაიწყო შიში, და ლაბლათ იჩინა თავი საერთო გაფიცვის იროებამ. დეკემბერში, ჰელსინგფორსში ლდა მუშათა კავშირების წარმომადგენლების კრება, სადაც თავი მოიყარა 500 კაცამდის. ამ კრებამ მოიწონა გაფიცვის აზრი, დამტკიცდა ინსტრუქციები და მიმართვა გაფიცვის კომიტეტის. ამის შემდეგ დაიწყო ენერგიული აგიტაცია წერილობითი და კრებებზე—საერთო გაფიცვის მოსახდენათ. წინანდელ გაფიცვის გამარჯვება უფრო ამხნევებდა აგიტაციას. იგივე კონსტიტუციონალისტები, რომლებმაც ხელში ძალა გაფიცვის წყალობით ჩაიგდეს, ეხლა სულ სხვა ენაზე ლაპარაკობენ. აგერ უკვე მესამე თვეა, რაც ხურებული პოლემიკაა გამართული მუშათა და ბურჟუაზიულ პრესის შორის. პარტიულ ბრძოლაში ორივე მხარემ დაკარგა მიერება. ბურჟუაზია ყოველ მხრივ ცდილობს სოციალდემოკრატებს დაუკარგოს ვლენა მცხოვრებლებზე, არა სჯერდება შაბლონურ დანაშაულობების დასახელებას, როგორც მაგალითად თავისუფალი სიყვარულის მომხრეობა, ღმერთის უარყოფაა და სხ., ცდილობს ანარხისტობაც კი მოახვიოს მათ თავზე, დინამიტების მოპარვა, ჰელსინგფორსში სახელმწიფო ბანკის განყოფილების გაძარცვა და სხ. კერძოთ უფრო ერთ წოდებულ „წითელ რაზმს" სდებდენ ბრალს, თუმცა კი ამისთვის ნამდვილი საბუთიანი საბუთი არა ჰქონდათ რა ხელში. როგორც ცნობილია, ეს რაზმი შედგენილი იყო იმიტომ, რომ დაეცვა წესრიგი არეულობის დროს და ყოველ მხრივ ედი მოქცეულიყო ისე, როგორც ამას თხოვდა სოციალდემოკრატიულ პარტიის გრამა და წესდება. თავისი ფუნქციები ერთო გაფიცვის დროს, ყველას აზრით, ითელმა რაზმმა საუცხოვოთ აღასრულა, უკანასკნელ დროსაც კი არავითარი ლეულობა არ ჩაუდენია. ბურჟუაზიულ ესის მუყაითმა ცდამ არა ერთხელ გაგვახსენა ჩვენი „მფარველი" ორგანოები, ამიტომაც „Hufstatsblaten" მონათლეს „Новое время"-თ, რაც მოკლებული არ იყო სინამდვილეს.

თავის მხრივ ს.-დ პარტიის ორგანოებიც ნამეტანათ ახმაურდენ იმაზე, რომ სენატის კომისიამ გააჭიანურა რეფორმების კანონ პროექტების შემუშავება, სოც.-დემ. ყველაფერში ცდილობენ ბოროტი განზრახვა, პროლეტარიატის ძალის შეზღუდვა დაინახათ და ისროდენ მმართველ წრეებისკენ ბრალდებებს, ფაქტიურათ უსაფუძვლო და არსებითათ საქმეს, ვითომ მათ საიდუმლო მოლაპარაკება აქვთ რუსეთის ბიუროკრატიასთან და ცდილობენ გამოაგზავნინონ მას ფინლიანდიაში ჯარი და სხ.

სენატის კომისიამ *) სეიმის რეფორმების კანონ პროექტის შესამუშავებლათ დაიწყო მუშაობა დეკემბერში და დაასრულა თებერვალში, და ცხადია რომ ზემო დახასიათებულ საზოგადო ატმოსფერის წყალობით მის მუშაობას საზოგადოების ყველა წრე ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა დაპირებები დაცულ იქმნა: დააწესეს ერთ პალატიანი სისტემა, არჩევნების უფლება მიანიჭეს ყველა მოქალაქეს, რომელიც კი 21 წელს მიღწეულია სქესის განურჩევლათ, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრის უფლება. ამავე დროს კანონ-პროექტის ზოგიერთ მუხლებში იყო მუშათა კლასისთვის არა სასარგებლო პირობები: ხმის მიცემის უფლებისთვის აუცილებლად საჭიროა ადგილობრივ ცხოვრება არა ნაკლებ 3 წლისა; ყოველ კენჭის ჩამგდებისათვის საჭიროა ორი წლის განმავლობაში აძლევდეს სახელმწიფოს გადასახადს; პროპორციონალური არჩევნები უხეიროთ იყო მოწყობილი; ყველა ამან გამოიწვია უკმაყოფილება მუშებ შორის. ამას გარდა დემოკრატიულ კონსტიტუციონალიზმის პრინციპის შეხედულებით არსებით ნაკლულოვანებას შეადგენს ზოგიერთი მხარეები სეიმისა. სენატი დაეთანხმა კომისიის პროექტებს, მაგრამ ამომრჩეველთა წლოვანება კი გაადიდა 21 წლიდან 24 წლამდის და არჩევნის უფლება სამხედრო წრეზედაც გაავრცელა. ყველა ამან უფრო გაადიდა უკმაყოფილება; იმ გარემოებამ, რომ სენატორებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა კანონ-პროექტის გადასასინჯათ პეტერბურგის კონფერენციის გადაცემაში, გამოიწვია საშინელი უსიამოვნება. საერთოთ პროლეტარიატი დიდის ეჭვით უყურებდა მმართველ წრის პეტერბურგის ბიუროკრატიასთან დამოკიდებულებას, ამჟამათ კი ეჭვი აიღო, რომ ბურჟუაზია ცდილობს რეფორმების დამარხვას. ეს ეჭვი არ მტკიცდებოდა, მაგრამ აგიტაცია ძლიერ მოქმედებდა მასსაზე. ეს ცხადათ დაგვიმტკიცეს კრებებმა ჰელსინგფორსში და სხვა ქალაქებში. სეიმის განცხადებამ, სეიმის რეფორმების პროექტი დაუყონებლივ განიხილებაო, არ მოახდინა დამამშვიდებელი შთაბეჭდილება, რადგან მუშათა ორგანოებმა თავისებურათ ახსნეს იგი. რამდენიც უფრო უკვირდება კაცი ადგილობრივ ცხოვრებას, უფრო მეტათ რწმუნდება, რომ რაც უნდა გულახდილი შეთანხმება სდომებოდა ბურჟუაზიას, პროლეტარიატი ყველაფერს მტრულათ უყურებდა. ეხლანდელი მომენტის დამახასიათებელია კიდევ ის, რომ უკანასკნელ კრებებზე, რომელსაც ახდენდა ს. დ. პარტია, კიდევ გამოქონდათ დამფუძნებელ კრების მოთხოვნა ოთხწევრიან არჩევნის უფლებით. როგორც უნდა გათავდეს პეტერბურგის კონფერენცია, რა რეფორმებიც უნდა შემოიღონ უმაღლეს წრეებმა, მუშათა კლასი და მათთან შეკავშირებული სოფლის პროლეტარიატის ნაწილი მაინც ეცდება დაიცვას ს. დ. პარტიის მოთხოვნები, ამიტომაც აუცილებელია საერთო პოლიტიკური გაფიცვა. მუშათაკლასი სავსებით შეურიგდა ხელახალ გაფიცვის აუცილებლობას, საჭიროებას. ფინლიანდიის პროლეტარიატის თვალი მიმართულია რუსეთისაკენ, რადგან იგი სავსებით გრძნობს, რომ ფინლიანდიის ბედ-იღბალი მჭიდროთ შეკავშირებული მთელი რუსეთის მოძრაობასთან. ყველასთვის ცხადია, რომ ფინლიანდიის მომავალი დამოკიდებული იქნება რუსეთის მომავალზე.

თაკა

---

*) ამ კომისიაში იღებდა მონაწილეობას ს. დ. პარტიის სამი წარმომადგენელი.

შან დამნაშავე, როგორც ქალაქის თავი, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევს ქალაქის საქმეებს; ან კიდევ იცის, მარა სდუმს, რაც მიუტევებელ ცოდვათ ჩაეთვლება მას.

იმედია, ამაზე გვიპასუხებს ბ-ნი ნიკოლაძე. როგორც უნდა იყოს, ჩვენ მაინც ჩვენს მოქალაქობრივ მოვალეობას ვასრულებთ და თუ ზოგს ჭეშმარიტების გამომჟღავნება ეწყინება, ეს რა ჩვენი ბრალია.

ეს—დე.

მუშათა შორის

ბათუმის უსაქმოთ დარჩენილი მუშები და მათი საბჭო.

(29 მაისიდან 4 ივნისამდის).

როგორც წერილში ვწერდით 20 მაისს უსაქმოთ დარჩენილთა საბჭომ შეიმუშავა სხვა და სხვა მოთხოვნილებები და გადასცა აღმასრულებელ კომისიას ქალაქის საბჭოში წასადგენათ; მასვე დაავალა ამის შესახებ მოლაპარაკების გამართვა, ყველა მოთხოვნილებების სასტიკათ დაცვა საბჭოს წინაშე და ენერგიული მოთხოვნა დაუყონებლივ მათი განხორციელების. მოთხოვნილებები, რომელზედაც ხელი მოაწერეს საბჭოს წევრებმა, მალე გადაეცა ქალაქის საბჭოს, რაზედაც აქ დააწერეს რეზოლიუცია, რომ იქონიებენ მსჯელობას მუშათა საბჭოს წარმომადგენლებთან 31 მაისს საღამოს 6 საათზეო. დანიშნულ ვადაზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში შეიკრიბენ ორივე მხარე და გაიმართა მსჯელობა წარდგენილ მოთხოვნილებების შესახებ. ჯერ შეეხენ პირველ მუხლს მოთხოვნილებისას, რომელიც ამბობს; ა) მოთხოვოთ ბათუმის ქალაქის თვითმართველობას მოწყობა (ორგანიზაცია) საზოგადო სამუშაოების. ბ) სამუშაოებზე მუშები უნდა იქნან მიღებული დღიურათ. გ) სამუშაო დღიური ხელფასი უნდა იყოს 1 მან. 30 კაპ., მოხელეებს უნდა მიეცეს 1 მან. 60 კ. დ) 8 საათის სამუშაო დღე. ე) სამუშაოებზე მუშის განაწილება სავსებით დამოკიდებულია უსაქმოთ დარჩენილთა საბჭოზე. ამის შესახებ მუშათა წარმომადგენლებმა პასუხათ მიიღეს, რომ: მართალია ქალაქს სამუშაოები აქვს, მაგრამ მალე მოწყობა შეუძლებელია, ისეთი დიდი საქმეები, როგორცაა მაგალითად წყლის გაყვანა და სხვა მოწყობა დაახლოებით ორი თვის განმავლობაში, მხოლოდ წვრილმანი სამუშაოები, რომელსაც არც დიდი ფული სჭირია და არც ბევრი მუშა, შესაძლებელია ეხლავე გადაეცეს მუშებს. სამუშაო ხელფასისა და სამუშაო დღის რაოდენობის შესახებ, შემდეგ კაი ხნის ყოყმანისა ქალ. საბჭოს მხრით და ენერგიული მოთხოვნისა მუშათა წარმომადგენლების მხრით, შეთანხმება მოხდა. შემდეგი მოთხოვნილება: თუ რომ სამუშაოების მოწყობა და მუშებზე გადაცემა დაგვიანდება, მოეთხოვოს ქალაქის საბჭოს დაუყონებლივ დახმარება ფულით ან და უფასო სასადილოების გახსნა, არ იქნა დაკმაყოფილებული ისე, როგორც ამას მუშები მოითხოვდენ. ქალაქის საბჭოს წევრები შეეხენ ამ მოთხოვნილებებს პრინციპის მხრით და ვითომ კიდეც დაგმეს იგი, დაგმეს იმიტომ, რომ ეს მოწყალების, საჩუქრების თხოვნაა, დაგმეს იმიტომ, რომ ეს მოთხოვნილება თითქოს ეწინააღმდეგება პრინციპიალურათ იმ რეზოლიუციას, რომელიც მიიღო 21 მაისს უსაქმოთ დარჩენილთა მიტინგმა და სადაც ცხადათ, აშკარათაა ნათქვამი, რომ მუშები მოწყალებას კი არ თხოულობენ, არამედ მოითხოვენ პურსა და სამუშაოს, და ამ მოთხოვნილებით კიდეც წარსდგენ ქალ. საბჭოს წინაშე, აქ კი დახე უბედურებას, მუშებს პრინციპი დავიწყებიათ, მუშები თითქოს შიმშილისა გამო პრინციპს ღალატობენ და, ჰოი საშინელებავ, მათხოვრობას სჩადიან. „არა, ეს სამარცხვინოა, ეს არ შეეფერება მუშების პატიოსნებას, ამას არ უნდა დაეთანხმონ თვით მუშები!", გაიძახოდენ საბჭოს წევრები ვითომ-და ძლიერ აღშფოთებული მუშების ასეთ „სამარცხვინო" საქციელით. მაგრამ მალე გამოირკვა თუ რა იყო მიზეზი „აღშფოთებისა", გამოირკვა, და კაი ხანია გამორკვეულიც იყო, რომ ბ.ბ. ვოლსკებს და ჟურულებს მუშების „პრინციპების" დაცვისათვის არა სცხელათ. „თქვენ გგონიათ თითქოს ჩვენ ვეწინააღმდეგებით ამ მოთხოვნილებით წინათ მიღებულ რეზოლიუციას, თქვენ გგონიათ, რომ ჩვენ სამარცხვინო საქციელს ჩავდივართ, როცა სასადილოების გახსნას მოვითხოვთ, ან-და ფულით დახმარებას? არა ბატონებო, ჩვენი პირველი მოთხოვნილება, რომელიც თავში წამოყენებული, აშკარაა ყველასათვის, ჩვენ ხმა-მაღლა გვიძახით: მოიტათ სამუშაო, სამუშაო! ცხადია თუ ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებთ, თავის თავათ მეორეს უკან წავიღებთ, მაგრამ არც პირველი და არც მეორე? რა საშუალებაზე შეგვიძლიათ მიგვითითოთ? ქუჩაში შიმშილით მოვკვდეთ? ჩვენ, რომელიც ვქმნით საზოგადო სიმდიდრეს, არა გვაქვს უფლება ჩვენგან შექმნილ სიმდიდრეში მონაწილეობის მიღების? ჩვენ ვაცხადებთ, რომ მოწყალებას არ ვითხოვთ, და ასეთი საქციელი ჩვენთვის მართლა სამარცხვინოა, მაგრამ ქალაქის საბჭოსაგან ფულით დახმარების მოთხოვნა ეს კანონიერია; ქალაქის საბჭო პირდაპირ მოვალეა დაეხმაროს მუშებს, რომ სიმშილით ქუჩაში არ მოკვდენ. და თუ გეზარებათ ამის დაკმაყოფილება, მაშინ აგვისრულეთ პირველი. მოიტათ სამუშაო..."—ასე უპასუხეს მუშებმა. მოპირდაპირენი დაეთანხმენ მუშებს, მაგრამ აღიარეს, რომ თუ გინდ რომ ეგ ასეც იყოს, ჩვენ დახმარება მაინც არ შეგვიძლია, რადგან კასაში ფული არ მოიპოვება. აი თურმე ეს იყო მთავარი მიზეზი და „პრინციპებს" კი ტყუილათ ეპოტინებიან ეს „უპრავის სოციალისტები". სხვათა შორის სთქვეს, რომ გავმართავთ ხელის მოწერას, მოუწოდებთ ყველას ქველმოქმედებისაკენ, რათა გამოიღონ შემოწირულება მუშების სასარგებლოთ, მაგრამ ამაზე მუშებმა პროტესტი გააცხადეს. მესამე მოთხოვნილება: ქალაქის თავისუფალი შენობები გადაეცეს მუშებს დროებით სასარგებლოთ, მიღებული იქნა რამდენიმეთ; დაუთმეს შენობები ორ ადგილას: ღამის თავშესაფარი და „ხოლერნი ბარაკი", რომლებშიაც მოთავსდება დაახლოვებით 200 კაცამდის, სხვა შენობებს კი არ უთმობენ და მიზეზათ რემონტის საჭიროებას ასახელებენ დანარჩენი თავისუფალი შენობებისთვის. მეოთხე მოთხოვნილება: სტატისტიკური ბიუროს დაარსება მუშათა ცხოვრების გამოსარკვევათ, მიიღეს, და თავის მხრით ქ. საბჭომ გადასცა მუშ. წარ. პროექტი ინსტრუქციის მიტინგზე გასარჩევათ.

(შემდეგი იქნება)

რუსეთი

აგრარული მოძრაობა. ორიოლის გუბერნიის ელეცკის მაზრაში დაიწყო აგრარული მოძრაობა. პოკატილოს მამულში გლეხებმა გაძარცვეს სახლი და მთელი ქონება—მეორე ალაგას გლეხებმა მემამულის თივა მოიტაცეს. მაზრაში დრაგუნები გაიგზავნა, სოფ. პეტროვსკში წავიდა ისპრავნიკი კაზაკებით.

ინგუშებსა და კაზაკებს შორის შეტაკების დროს გოროდიშჩეში მოკლულ იქმნა 4 გლეხი და დაიჭრა 13; ინგუშებიდან მძიმეთ დაჭრილია 2. მოვიდა ჟანდარმის პოლკოვნიკი სტეფანოვი.

5 ივნისს ელეცის მაზრის სოფელ ხმელევოიში გლეხებმა სცემეს მემამულეს, გაძარცვეს მისი სახლი და მამული. სოფელში გაიგზავნა ნეჟინის დრაგუნების ესკადრონი.

კიევის და პოდოლის გუბერნიებში გლეხებს პურის მომკისათვის თავისი ტაქსა შეუმუშავებიათ. სამუშაო დღე უნდა გაგრძელდეს 7 საათიდან საღამოს 8 საათამდის. გლეხები მზათ არიან გაფიცვით დაიცვან თავისი მოთხოვნები.

პოლიტიკური მიტინგები. ამ ბოლო დროს რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში მრავალი მიტინგები ხდება; მართავენ მათ უმეტეს ნაწილათ კადეტები, მაგრამ, როდესაც საქმე რეზოლიუციის მიღებაზე მიდგება, მაშინ კადეტებს საკვირველი საქმე ემართებათ. მათ მიერ შემუშავებულ რეზოლიუციაზე კრება უარს ამბობს და იღებს ს.-დემოკრატების რეზოლიუციას. ასეთი ამბები მოხდა სარატოვში, სიმფეროპოლში, სტავროპოლში, კოსტრომაში და სხვა. აი როგორ აჰწერს „Н. Ж" სიმფეროპოლის მიტინგს: „27 მაისს კადეტების მიერ გამართული მიტინგი მათთვის არა სასიამოვნოთ დასრულდა, თუმცა სოციალდემოკრატიის ორატორებს ნაკლები ტალანტი და ნაკლები ორატორული ნიჭი ეტყობოდათ, მაგრამ თავისი გრძნობიერი სიტყვებით მათ ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს კადეტებზე და საბოლოოთ ჩაჩრდილეს ისინი, ასე რომ კადეტების მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციაზე უარი სთქვა კრებამ და მიიღო სოციალდემოკრატიული რეზოლიუცია. აქ მეორეთ ხდება ამგვარი მიტინგი.

— ოდესაში ყოველ დღე ხდება მიტინგები, რომლებსაც მრავალი ხალხი ესწრება. ორატორები იწვევენ დამსწრეთ შეკრიბონ და შეაკავშირონ ძალები და მხარი დაუჭირონ „მშრომელთა ჯგუფს" დუმაში.

მითქმა-მოთქმა დღევანდელ სამინისტროს გადაყენების შესახებ. ხელ ახლა გავრცელდა ხმა თითქოს ეხლანდელ სამინისტროს გადაყენება გადაწყვეტილი იყოს. ამბობენ სამინისტრო დუმის უმრავლესობიდან უნდა დაინიშნოსო.

ამბოხება ჯარში. 5 ივნისს საღამოს სევასტოპოლის „ბულვარზე", ზღვის პირას, გაიმართა პატარა „მასსოვკა". თავშეყრილთა გასარეკათ დანიშნეს ციხის არტილერიის როტა; მაგრამ ეს უკანასკნელი არ გაუშვეს ბატალიონის სხვა როტებმა. ღამით ბრესტის პოლკმა ალყა შემოარტყა კარევებში მძინარს არტილერისტებს, და იარაღი აყარა მათ 6 ივნისს დატყვევებული I ბატალიონი წაიყვანეს ჩრდილოეთ ნაწილში მიხაილის ბატარეიაზე. აქ აჯანყებულებს მე-II ბატალიონის ორი როტა შეუერთდა. აჯანყებულებმა დაამსხვრიეს თოფის წამლის სარდაფები, გატენეს სამი ზარბაზანი და დაუმიზნეს ქალაქს. ღამით ბრესტის პოლკი ციხის მინების ბატალიონთან ერთათ გადავიდა ჩრდილოეთ ნაწილში, გარს შემოერტყა აჯანყებულთ, რომელთა შორის განხეთქილებამ იჩინა თავი. დაუყონებლივ ყველანი დანებდენ ბრესტის პოლკს; ზარბაზნები იმ წუთშივე დასცალეს.

6 ივნისს, ღამით, რიაზანის ახლო ლაგირში მყოფ ბულხოვსკის პოლკის ჯარის კაცებმა წარადგინეს რამოდენიმე ეკონომიური მოთხოვნა და თანაც შეურაცყოფა მიაყენეს ერთ აფიცერს და რამოდენიმე ჯერ თოფი გაისროლეს. აფიცრები იძულებული გახდენ ლაგერიდან გასულიყვენ. ღამით დასწვეს „ცეიხგაუზი". დღეს ჯარის კაცები არ გამოვიდენ სამეცადინოთ.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

„ლამპრის" მე-31 ნომერში მოთავსებულია ვიღაც. „მშრომელის" წერილი. ავტორი სხვა კონტრალიორებთან ერთათ ჩემ გვარსაც იხსენიებს და ბრალსა მდებს ფორმალისტობისა და პროტოკოლების წერაში.

ჩვენ, ელექტრონის ტრამვაის მოსამსახურეებს გვაქვს საკუთარი ორგანიზაცია, სადაც შეეძლო ბ-ნ მშრომელს განეცხადებია თავისი სამდურავი და გაზეთის ფურცელი არ მოეცდინა. მე ჩემის მხრით და ჩემს შესახებ ვაცხადებ, რომ ბ-ნი „მშრომლის" წერილი ერთი უშველებელი ჭორია, რასაც იმედია დაამტკიცებენ ჩემი ამხანაგები. თან ეჭვი მებადება ჩემს შესახებ რაიმე პირადი ანგარიში არ ჰქონდეს ბ.ნ „მშრმელს."

კანტრ. ვანო მაზმიშვილი

„მშრომლის" შესახებ ეს მესამე წერილი იბეჭდება, სადაც მას საამხანაგო სამართალში იწვევენ და იმედი გვაქვს დააკმაყოფილებს ამ სამართლიან მოთხოვნას.

რედ.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

13 ივნისი.

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატამ უარი განაცხადა პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს საქმეზე მოწმეებათ გრაფ ვიტე და ადმირალ ბირილევის მოწვევაზე.—ხალხის თავისუფლების პარტიის პარლამენტის ფრაქციების კომისიების შეერთებულ კრებაზე ქალაქების და ადგილობრივ საერობო თვითმართველობათა შესახებ გადასწყვიტეს ჯერ-ჯერობით თავი დაანებონ სხვა კითხვებს და ცხოვრებაში გაატარონ მხოლოდ ახალი საარჩევნო სისტემა და საბოლოოთ მოსპონ ადმინისტრატიული ოპეკა.

12 ივნისს მოხდა პირველი სხდომა მებულკეების და ხაზეინების მომრიგებელ კომისიის. ხაზეინებმა წინადადება შეიტანეს თერთმეტი საათის სამუშაო დღის ერთი საათის დასვენებით. მებულკეები თხოულობენ თერთმეტი საათის სამუშაო დღეს ორი საათის დასვენებით.

პლოცკი. ბერნეცკის მაზრაში რამდენიმე უცნობი თავს დაესხა ვიშნევსკის მამულს, შეკრეს ღამის დარაჯი, გაიტაცეს 10,000 მან. და მიიმალენ.

ვარშავა. კოროლევსკის ქუჩაზე მოკლეს ორი და დაჭრეს ერთი, როგორც ამბობენ საიდუმლო პოლიციის აგენტები. ჩქარა პატრული გაჩნდა და სროლა ასტეხა. დაჭრილია ერთი კაცი და ერთიც ქალი.

პეტერბურგი. გაიფიცნენ შკიპერები და მაშინისტები, „ფინლიანდიის გემთა" საზოგადოების. მიმოსვლა შესწყდა.—გაიფიცა 5,000 მეეტლე. მოთხოვნები ეკონომიურია.

პეტერბურგი. დაბალ სკოლების მასწავლებელთა რუსეთის კავშირის მესამე საეზდზე უმრავლესობამ უარი განაცხადა პოლიტიკურ კავშირის დაარსებაზე და საჭიროთ სცნო კავშირს საფუძვლათ პროფესიონალური მიზანი დაედვას.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბირო. კრება გაიხსნა დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით დილის 11 საათსა და 35 წუთზე. კრებამ მოისმინა საარჩევნო განყოფილებების მოხსენება. სათათბირომ დაამტკიცა ტობოლის გუბერნიის და ტურგაის ოლქის არჩევნები. შემდეგ დუმა 33-ის კომისიის მოხსენების განხილვას შეუდგა. მოხსენება წაიკითხა ივანიცკიმ. გაზეთების კონფისკაციამ პეტერბურგში დიდი კამათი გამოიწვია. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვეს ბონდარევმა და ნედონოსკოვმა და აღნიშნეს ადმინისტრაციის თვითნებობა, რომელიც ცდილობს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების სამუდამოთ გათელვას და მოსპობას. გაზეთების კონფისკაციის შესახებ კამათი დიდხანს გაგრძელდა. გომართელმა (კავკასია) თავის მწვავე სიტყვაში, სხვათა შორის, დიდის აღტაცებით მოიხსენია ჯარში მღელვარება. გომართელის სიტყვამ ძალიან გაანცხარა ფედოროვსკი, რომელმაც განაცხადა, რომ ჯარი პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს. ნაბოკოვის აზრით, გაზეთების კონფისკაცია ეს იგივე წინასწარი ცენზურაა. წინათ, როცა ცენზურა იყო ისეთი მაგალითები როგორიც დღეს ხდება, სტამბებზე თავდასხმა და სხვა ერთხელაც არ ყოფილა. ორატორი თხოულობს ეს კითხვა დაუყონებლივ გადაწყდეს. ბარათაშვილი, პარჩევსკი და ტართუნი უერთდებიან საზოგადო პროტესტს. გომართელმა პასუხი გასცა ფედოროვსკის და სთქვა, რომ თუმცა ჯარი პოლიტიკის გარეშე იქნება, ის თავისუფლებისთვის ბრძოლას თუ მხარს არ დაუჭერს, მის მტრებს მაინც არ უნდა ეხმარებოდეს. შეკითხვა ერთხმათ მიღებულ იქმნა. გომართელის წინადადება შინაგან მინისტრის ცირკულიარის შესახებ, რომელიც, გაზეთების დაჭერას შეეხება, გადაეცა კომისიას. გლეხთა კავშირის შესახებ შეკითხვა გადაიდო ხუთშაბათისთვის. მიიღეს შეკითხვა ფრიდლანდის და ინჟინერ კიცის უკანონოთ დატყვევების შესახებ. კაზაკების მხეცურ მოქმედების შესახებ საკითხი კომისიას გადაეცა. კრება შესწყდა. 2 საათსა და 30 წუთზე კრება ისევ დაიწყო დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით. დიდი ამბავი გამოიწვია იმ ამბავმა, რომ ჩერნიგოვის გუბერნიაში ჟანდარმების უფროსმა გენერალ რუდოვის განკარგულებით თითქმის სულ გადაუწვავთ სოფლები. დეპუტატ მუხანოვმა ამ ამბის შესახებ უტყუარი საბუთები წარმოადგინა. შეკითხვა საჩქაროთ გადასაწყვეტათ სცნეს. საჩქაროთ სცნეს აგრეთვე შეკითხვა იმის შესახებ, რომ პეტერბურგის სტუსაღოში აუარებელი ხალხი ზის ბოქაულების განკარგულებით. შემდეგ დუმამ განიხილა შეკითხვა კაზაკების შესახებ. მომხსენებელმა განმარტა კაზაკების პოლიციის თანამდებობის აღსრულებისთვის მოწვევის უკანონობა. დეპუტატ არაკანცევმა სთქვა, რომ მთავრობა დიდი ხანია ცდილობს ჩაკლას კაზაკებში ყოველივე ადამიანური ღირსებები და სიძულვილს სთესდა მალოროსების და ველიკოროსების წინააღმდეგ, მაგრამ დღეს კაზაკებიც გამოფხიზლდნენ და თავისუფლება სწყურიათ. არ შეიძლება ტალახი ვესროლოთ მათ, ისინი უბედურები არიან, ჩვენ ისინი უნდა გვეცოდებოდნენ ისე, როგორც სივერსის და მინის სალდათები, რომლებიც თავის ხალხს ხოცდნენ. სევასტიანოვი თხოულობს მთავრობას დავემორჩილოთო, რამაც დიდი სიცილი გამოიწვია. თავმჯდომარემ უჩვენა მას როგორ შეხვდა მის სიტყვას კრება და შეაჩერა. მღვდელმა აფანასიევმა აღნიშნა ის, რომ ასეთი სიტყვები პატრიოტიზმის ყალბი შეგნების შედეგია, ითხოვა დუმამ მხარი დაუჭიროს შეკითხვას, რადგან დღეს კაზაკებსაც უნდათ ხალხთან ერთათ მშვიდობიანი ცხოვრება. (ტაშის ცემა) ბოროდინი, სედელნიკოვი და გრომოვეცკი მხარს უჭერენ შეკითხვას. ვასილიევმა წაიკითხა თავის ამრჩევლების ნაკაზიდან ადგილი: „თუ პეტერბურგში რევოლუციონერებთან მოგიხდეთ კამათი უთხარით მათ, რომ თავი დაანებონ საშიშარ თამაშს, თორემ მოთმინების ფიალა გაწყდება და მართლმადიდებელი დონი აბობოქრდება". (ცვირილი, „ოჰო", „ეუურება", ვაი „სირცხვილი") ბარდიჟმა, (ყუბანის ოლქი) და ორენბურგის კაზაკების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კაზაკებს სრულიადაც არ სურთ რუსეთის მოქალაქეებთან ბრძოლა. არაკანცევმა მოიგონა თავის ამომრჩეველთა ნაკაზი და სთქვა, რომ ყოფილ სტანიცის ატამანებმა ვასილიევმა და სევასტიანოვმა თავიანთ სიტყვებით შეურაცყვეს სათათბირო. ვასილიევი ხელ-ახლა ამტკიცებს, რომ კაზაკებს არ უნდათ სამსახურის თავის დანებება. როდიჩევი წინააღმდეგობას აცხადებს იმ მოსაზრების წინააღმდეგ, რომ ყოველივე უკანონობის პასუხის მგებელი ხელმწიფე იყოს. ხელმწიფეს არ შეუძლია ბოროტების ჩადენა. სახელმწიფოს მართვა-გამგეობა დამყარებულია კანონებზე და ხელმწიფე რა დანაშაულია, როცა მისი სახელით კანონის აღმასრულებელნი ბოროტებას ჩადიან. განა ხელმწიფის ბრძანებით დაიღვარა ის სისხლი, რომლითაც შეიღება კაზაკების დროშები? არასოდეს! განა ხელმწიფის ბრძანებით მორწყეს სისხლით პეტერბურგის ქუჩები ცხრა იანვარს? არასოდეს! ეს გრამოლნიკების შეხედულებაა. თქვენი მოვალეობაა თვალი აუხილოთ იმ ხალხს, რომლებსაც მიუყავთ ჯარი და ამხედრებენ, ისინი ფიცს ღალატობენ. ჩვენ ხალხის და ხელმწიფის წინაშე ვალდათ გვაძევს გამხილოთ ყოველივე უკანონობა და ამ შეკითხვის წამოყენება არა თუ ჩვენ უფლებას, არამედ მოვალეობას შეადგენს. თავხედობაა გვეგონოთ, რომ ხელმწიფეს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნები. (გაცხარებული ტაშის ცემა) მიმართა ვასილიევს და სევასტიანოვს და უთხრა: დაბრუნდით თქვენ ამომრჩევლებთან და გადაეცით მათ, რომ თავისუფლებას არა მარტო რევოლუციონერები თხოულობენ, არამედ ძველი რეჟიმის წყალობით წელში გატეხილი რუსეთის მთელი ხალხი. და მათი ვალია წინამძღოლობა გაუწიონ ხალხს. სვორცოვი ამტკიცებს, რომ კაზაკები, როგორც განსაკუთრებული წოდება, შეადგენენ სახელმწიფოს მოთხოვნილებას და სანამ ეს მოთხოვნილება იქნება კაზაკების პოლკები ფეხსაც არ მოიცვლიან. ალადინი ამტკიცებს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად ვუყუროთ იმათ, რომლებმაც ერთ დროს სახელოვანი კაზაკების სახელი ტალახში [illegible]ცია. ჩვენი მოვალეობაა რაც შეიძლება კაზაკების უმცირესი ნაწილი ემსახურებოდეს ამ ზიზღარ საქმეს. შეკითხვა მეორე და მესამე რიგის კაზაკთა პოლკის მობილიზაციის კანონიერების შესახებ ერთხმათ მიღებულ იქმნა. აგრეთვე ერთხმათ მიღებულ იქნა გომართელის მიერ წამოყენებული შეკითხვა, რომელსაც [illegible] და კოკოშკინმა მხარი დაუჭირეს, პეტერბურგის პოლიციის უკანონო მოქმედებას, გაზეთ „კურიერ"-ის დახურვის, რედაქტორის და თანამშრომლების დაჭერის შესახებ. თორმეტი საჩქარო შეკითხვები კომისიას გადაეცა. შეკითხვა კონსტანტინოგრადში მომხდარ შეტაკების შესახებ, დაუყონებლივ უნდა განხილულ იქნეს— კრება დაიხურა 7 საათზე და 50 წ. შემდეგი კრება დანიშნულია ხუთშაბათს 11 საათზე.

ნოვგოროდი. ვოლგის ბასეინის მოსამსახურეებმა წარადგინეს მოთხოვნილებები ჯამაგირის მომატების შესახებ. ეს მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილონ 1 ველისამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა აიღებს ანგარიშს.

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილებით გაზ. „კურიერი" შეაჩერეს, სტამბა დაკეტეს და რედაქტორი კი დაატუსაღეს.

პოლტავა. 11 ივნისს კონსტანტინოგრადში მოგროვდა აუარებელი ახლო-მახლო მცხოვრები გლეხები. უესის ზედამხედველმა არ დაანება მათ გაზ. „კოლოკოლ"-ის კითხვა და მოსთხოვა დაშლა, მაგრამ მერე შეეშინდა და გაიქცა. ხალხი გამოუდგა და სცემა მას. სცემეს ისპრავნიკსაც. დაატყვევეს წვიმასავით ქვები სტრაჟნიკებსაც, რომლებმაც სროლით უპასუხეს. მოკლულია 3, დაჭრილია იმდენივე. ხალხი გაიფანტა, როცა ჯარი მოვიდა; მშვიდობიანობა აღდგენილია.

პეტერბურგი. 15,000 ხილის დამტარებლების გაფიცვა კათავდა ხილის აუკციონის დაარსებით.

სარატოვი. ქალაქის საბჭომ „პაგრომების" შიშას გამო ერთხმათ გადასწყვიტა მიმართონ გუბერნატორს, შეაჩეროს დროებით ყველანაირი საზოგადო პროცესიები.

ვაშინგტონი. წარმომადგენელთა პალატამ შეიმუშავა კანონი ემიგრანტებზე და გადმოსახლებულებზე. ამ კანონით ემიგრანტებს, რომლებსაც სდევენ პოლიტიკური და რელიგიური რწმენისათვის, თავისუფლათ შეუძლიათ შევიდენ ამერიკაში.

მინსკი. პოლიციამ აღმოაჩინა ქალაქ გარეთ საიდუმლო სტამბა სოციალ-რევოლიუციონერების, სადაც იბეჭდებოდა პროკლამაციები გლეხთა მიმართ. დაიჭირეს 2 კაცი და 8 ფუთი ასოები.

ილეცი. აგრარული მოძრაობა მოედო მთელ მაზრას, ეკონომიებიდან გამოყავთ მოსამსახურეები და მუშები. მოხდა სტრაჟნიკებზე თავდასხმა, რომელსაც უნდოდა ტილდკინის ტყეების გაკაფვა. გარს შემორტყმულმა სტრაჟნიკებმა გაინთავისუფლეს თავი სროლით; მოკლულია ორი.

ტულა. ტულის, ეპიფანის და ეფრემოვის მაზრებში გლეხები ერეკებიან მემამულეების მუშებს და არ ანებებენ თივას. აგრარული ნედორაზუმენიების გამოსაკვლევათ გაიგზავნა გუბერნიის სამართველო სოვეტნიკი.

პერეხტა. ყველა პერეხტის მაზრის ქარხნებში გაფიცულია; გაფიცულები არეულობას ახდენენ. კოსტრომიდან გაიგზავნა ერთი როტა სალდათები.

რედაქტორ-გამომცემელი ქ. თავართქილაძე.

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა". ტფილისი, მახელის ქუჩა, 65.